P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

გაკაპასებული ბურჯანაძე მერაბიშვილს სამარის გათხრას ჰპირდება

იხილეთ მე-2 გვერდზე

თინა ხიდაშელი: რატომ უნდა წავიდეთ სოჭში

იხილეთ მე-9 გვერდზე

№ 27 (677) 14 - 20 ოქტომბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„ქუთაისის ვიცე-მერი დეზინფორმატორია!“(?)

მერიასთან იქით გვაქვს კითხვები – თუ დაუსრულებელი იყო „კოლხური შადრევანი“, ექსპლუატაციაში რატომ მიიღეს?

ქუთაისის ახალი ხელმძღვანელობა ქალაქში ორი წლის წინ სამ ობიექტზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევაში ადანაშაულებს. თავის მხრივ, მერიას პასუხობენ კომპანიები და მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებენ.

ქუთაისში შეუსრულებელი სამუშაოების თემა აქტუალური გახდა. გასულ კვირაში ქუთაისის ვიცე-მერმა თენგიზ თოფურიძემ აღნიშნულ საკითხს საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა და განაცხადა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან გაფორმებული ხელშეკრულებების ავტორებს ქუთაისის მერია ხელშეკრულების დარღვევაში ედავება. ეს კომპანიებია: შპს „მშენებელი 2011“, შპს „ექსპოგრაფი“ და სს „დაგი“. თოფურიძის თქმით, სამივე კომპანიას ვადაგადაცილებისა და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, ჯარიმა უნდა დაეკისროს და მათი საქმეები შესასწავლად შესაბამის ორგანოებს გადაეცეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რა კავშირი აქვს ეპარქიების დაყოფას პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლასთან?

სასულიერო პირთა „ზნეობრიობას“ სპეციალური კომისია შეისწავლის

მართლმადიდებელ სასულიერო პირთა მიერ ზნეობრივი ნორმების დარღვევის ფაქტებს სპეციალური კომისია შეისწავლის. კომისიას სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია და გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი იაკობი უხელმძღვანელებენ. კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება წმიდა სინოდის ბოლო სხდომაზე, 11 ოქტომბერს, სასულიერო პირების მიერ ზნეობრივი ნორმების დარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად მიიღეს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მარიამი — ანა ფრანკის მეგობარი

ორპირელი მოსწავლის წარმატება და კონკურსში გამარჯვებით მოპოვებული ამსტერდამის საგზური

იხილეთ მე-7 გვერდზე

ხატია სიჭინავა:

„ჩემი დედამთილი დიასახლისობის პელეა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე“

იხილეთ მე-10 გვერდზე

გაიგეთ საპრეზიდენტო კანდიდატების მოსაზრებები აქტუალურ კითხვებზე

იხილეთ მე-3 გვერდზე

გაიყიდება თუ არა სახელმწიფო მიწები?

იხილეთ მე-5 გვერდზე

ოჯახში მესამე ბავშვს, შესაძლოა, ყოველთვიური დახმარება 100 ლარი დაენიშნოს

იხილეთ მე-5 გვერდზე

ვინ და რატომ გაათავისუფლა „ნაციონალი“ „ქუთსერვისჯგუფის“ დირექტორი?

იხილეთ მე-4 გვერდზე

გენადი ონიშჩენკოს „სვლა მხედრით“ და ქართველი მელვინეების უშრეტი ოპტიმიზმი

იხილეთ მე-9 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

დაფინანსებული ფართი — გვ. 8

განცხადებები — გვ. 11

რევანშისტული პაექრობა FACEBOOK-ით „ვარდების რევოლუციის" ყოფილ თანამებრძოლებსა და დღევანდელ მტრებს შორის

გაკაპასებული ბურჯანაძე მერაბიშვილს სამარის გათხრას ჰპირდება

წინასაარჩევნო დებატები „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივანსა და „დემოკრატიული მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატს შორის სოციალური ქსელით დაიწყო. ნინო ბურჯანაძის განცხადებებს ვანო მერაბიშვილმა facebook-ით უპასუხა და „ელემენტარული სიცრუე" უწოდა. ნინო ბურჯანაძე კი მერაბიშვილს ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებას და „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ დასამარებას დაჰპირდა.

ნინო ბურჯანაძე

ვანო მერაბიშვილი

პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს შორის ურთიერთბრალდებების გაცვლა კი ნინო ბურჯანაძის განცხადებით დაიწყო. „დემოკრატიული მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატმა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემა „არჩევანში" განაცხადა, რომ მისი და აზზორ ბიწაძის საუბრის ამსახველი ფარული აუდიოჩანაწერი ფაბრიკაცია იყო, რაც შემდეგ მერაბიშვილმა და პრეზიდენტმა სააკაშვილმაც აღიარეს. ეს ფარული აუდიოჩანაწერი შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2011 წლის მაისის აქციების დროს გამოაქვეყნა.

„ნაციონალურ მოძრაობას" არ აქვს მორალური უფლება საქართველოს საზოგადოების წინაშე წარსდგეს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ მათი სინანული მდგომარეობს იმაში, რომ თურმე ბოლომდე არ ამოგვხადეს სული. თან გვპირდებიან, რომ იმაზე მალე დაბრუნდებიან, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია და თუ ასე უსუსურად გააგრძელა „ქართულმა ოცნებამ", გამორიცხული არაფერია, თუმცა, მე და ის ასიათასობით მხარდამჭერი, რომელიც მე მიჭერს მხარს, ამას არ დავუშვებთ," — განაცხადა **ნინო ბურჯანაძემ** ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში. მისივე თქმით, NDI-ის კვლევა საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგების თაობაზე არის მცდელობა ქართული საზოგადოება გაყალბებას შეაჩვიონ — „ესაა მცდელობა იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" გაათეთრონ და ხელისუფლებაში მოაბრუნონ, რასაც საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს."

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნინო ბურჯანაძის განცხადებებს სოციალურ ქსელით facebook-ით გამოეხმაურა და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე სიცრუეში დაადანაშაულა.

„ნინო ბურჯანაძის საკუთარ შვილთან საუბრის ჩანაწერი არის ავთენტური და ეს ჩანაწერი სრული სახით დღემდე ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. გარდა ამისა, არც მე და არც საქართველოს პრეზიდენტს არასოდეს არ გვითქვამს, რომ იგი არის გაყალბებული" — აცხადებს პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის მტკიცებით, 26 მაისის მოვლენები მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ამ მოვლენების შედეგად მიღებული მსხვერპლის და მანამდე ე.წ. „შეფიცულთა რაზმის" ჩამოყალიბების გამო, ხელისუფლებას სრული კანონიერი უფლება ჰქონდა, პასუხისგებაში მიეცა ნინო ბურჯანაძე და მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე, ეს უკანასკნელი აღნიშნულ „შეფიცულთა რაზმს" ხელმძღვანელობდა.

„თუმცა, ჩვენ თავი შევიკავეთ ამ ნაბიჯის გადადგმისგან, რათა ვინმეს არ ჩაეთვალა, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური მოტივებით დევნას. 26 მაისის მოვლენებს ნამდვილად მოჰყვა შედეგი, როგორც ამას ქალბატონი ბურჯანაძე აცხადებს — ეს შედეგი იყო გარდაცვლილი ადამიანები, მათ შორის, ერთი პოლიციელი, რომლის მკვლელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ „პოლიტიკურ პატიმრად" შერაცხა," — აცხადებს **ვანო მერაბიშვილი.**

ნინო ბურჯანაძე მერაბიშვილის განცხადების პასუხად კი ამბობს, რომ მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს 26 მაისის საქმეზე ბრალი სათანადოდ არ აქვს წაყენებული და ამიტომაც ბედავს ასეთი განცხადებების კეთებას.

„მერაბიშვილს 26 მაისთან დაკავშირებით ბრალი არ აქვს ისე წაყენებული, როგორც ეს საჭიროა და ამდენი ხნის განმავლობაში ძირითად ბრალად ლამის მხოლოდ სოციალური აგენტებისთვის ხელფასების გაცემა ედება ბრალად. ერთი წელია, გამოძიება მიდის და ბრალი წესიერად ვერ წაუყენეს, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოწმე კი საერთოდ არ არის დაკითხული. ეს არის იმის მიზეზი, რომ ამდენს ბედავს ვანო მერაბიშვილი, მაგრამ ეს 27 ოქტომბერს აუცილებლად დამთავრდება და ამას დაამთავრებს არა მარგველაშვილი, არამედ ნინო ბურჯანაძე," — აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატი.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი მერაბიშვილი სოციალური ქსელით იმასაც ირწმუნება, რომ არჩევნების მეორე დღეს რუსეთს 26 მაისის სცენარის განმეორება აქვს განზრახული, რასაც გაყალბების საბაბით, ნინო ბურჯანაძის ხელით განახორციელებს.

„კრემლი არ კმაყოფილდება დიცსა და დვანში მავთულხლართების გავლებით და სურს, ბარიკადები ამჯერად უკვე რუსთაველის გამზირზე აღმართოს. რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ იცვლება — მას დაგეგმილი აქვს შიდა არეულობის მოწყობის გზით შეაფერხოს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი. ვილნიუსის სამიტის წინ, რუსეთმა უკვე გამოუცხადა სავაჭრო ომი უკრაინას და მოლდოვას და დაიყოლია სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე. საქართველოს ჯერი, როგორც ჩანს, 28 ოქტომბერს დადგება, როდესაც არჩევნების მეორე დღეს, გაყალბების საბაბით, ნინო ბურჯანაძის ხელით რუსეთს განზრახული აქვს თბილისში არეულობის მოწყობა, რაც, დაახლოებით, იქნება 26 მაისის სცენარის განმეორება. ამ მოვლენების გენერალური რეპეტიცია ნინო ბურჯანაძეს დაგეგმილი აქვს 24 ოქტომბერს," — ამტკიცებს ვანო მერაბიშვილი და მოუწოდებს პოლიციელებს, რომ არავის მისცენ ქვეყანაში არეულობის მოწყობის საშუალება.

„დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი კი ამას დეზინფორმაციას უწოდებს და მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" „ქართული ოცნების" უუნარობის გამო გათავხედდა. ნინო ბურჯანაძე „ნაციონალურ მოძრაობას" ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ დასამარებას ჰპირდება.

ეს სრული დეზინფორმაციაა. ვანო მერაბიშვილს 26 მაისის ბრალდებები სრულად რომ არ დაუწყვეს ცხვირწინ, ამდენ ლაპარაკს ამიტომ ბედავს, მაგრამ, 27 ოქტომბერს, როცა ხელისუფლებაში მოვალ, მე მას ვპირდები, წარმოვადგენ ყველა იმ ობიექტურ მასალას, რომლის საფუძველზეც ვანო მერაბიშვილიც, მიხეილ სააკაშვილიც და მათი მეგობრებიც კარგა ხნით, მყარად ჩაჯდებიან ციხეში... ეს განცხადება ადასტურებს იმას, რომ ისევე როგორც კუზიანს სამარე არ გაასწორებს, „ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკური სამარის გარდა, არაფერი გაასწორებს. მე 27 ოქტომბერს აუცილებლად გავიმარჯვებ და „ნაციონალურ მოძრაობას" ნამდვილად პოლიტიკურ სამარეში ჩავასვენებ, ოღონდ ისე, რომ იქედან ვერასოდეს ამოესვენებიან," — აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი.

ციტნე პაატაშვილი

ქუთაისის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი განმეორებით ექსპერტიზას ითხოვს

8 ოქტომბერს 16 წლის სენაკელი გოგა ძველაია ქუთაისის №2 სასჯელაღსულების დაწესებულებაში გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, მან თავი ჩამოიხრჩო.

ძველაია ციხეში ორი დღის წინ გადაიყვანეს. იგი ორ თვეში გირაოს სანაცვლოდ უნდა გათავისუფლებულიყო. მან ციხეში გადაყვანიდან თავი რამდენიმე საათში ჩამოიხრჩო. არაოფიციალური ინფორმაციით, მსჯავრდებულს ციხის ადმინისტრაციასთან ჰქონდა პრობლემები, რის გამოც, მან ციხის ადმინისტრაციას ცალკე საკანში გადაყვანის თხოვნით წერილით მიმართა.

ძველაია სასჯელს მეორედ იხდიდა. მან საპატიმრო, მარიამობის დღესასწაულზე, პრეზიდენტის შეწყალების შემდეგ დატოვა.

მომხდარის გამო, 8 ოქტომბრის ღამეს, ქუთაისის №2 დაწესებულებაში იმყოფებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი.

გავრცელებული თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა გარდაცვლილის ოჯახს. როგორც ძველაიას მამა აცხადებს, მის შვილს თავის მოკვლის მიზეზი არ ჰქონდა, რადგან საპატიმრო, გირაოს სანაცვლოდ, ორ თვეში უნდა დაეტოვებინა. როგორც ის აღნიშნავს, მის შვილს ქუთაისის ციხის პატიმრებთან ჰქონდა პრობლემები და გლდანის ციხეში გადაყვანას ითხოვდა. თუმცა, მისი თხოვნა ქუთაისის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არ გაითვალისწინეს. სწორედ ამ მიზეზის გამო ოჯახი ამტკიცებს, რომ გოგა ძველაია მოკლეს და თვითმკვლელობის ვერსია გაავრცელეს. გარდაცვლილის მამა ხელახალ ექსპერტიზას და სოზარ სუბართან შეხვედრას მოითხოვს.

ძველაიების ოჯახში იმყოფებოდნენ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

საქმეში ახალი ფაქტი გამოიკვეთა, როგორც გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი — ლედი ტუკვაძე აცხადებს, გოგა ძველაიას მარჯვენა ხელი პარალიზებული ჰქონდა და ის თავის მოკვლას ვერ შეძლებდა.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გარდაცვლილ პატიმარს ფსიქოლოგიური გამოკვლევა ჩატარებული არ ჰქონდა.

„ფსიქოლოგიური შემოწმება მას ჯერ არ ჰქონდა ჩატარებული, 23 საათის შემოყვანილი იყო, ერთი დღე-ღამეც არ იყო გასული. ამის ვალდებულება კანონით არ არსებობს. ახალ პროექტში, რომელიც ჯერ არ მოქმედებს, ამისთვის განსაზღვრულია სამდღიანი ვადა," — განაცხადა მიხეილ ღურწკაიამ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასრულწლოვანი პატიმრების ფსიქოლოგიური შემოწმება სავალდებულო გახდება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიხეილ ღურწკაიას თქმით, დაწყებულია კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც არასრულწლოვან პატიმართა ფსიქოლოგიურ გამოკვლევას ითვალისწინებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
მარიამ პატარაია

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ქუთაისი მე-12 მერის მოლოდინში

არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" გაავრცელა რეკომენდაცია ქუთაისის მერის თანამდებობასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ. გთავაზობთ ამ ინფორმაციას:

„2003 წლიდან დღემდე ქუთაისმა 11 მერი გამოიცვალა. პროცესი ახლაც გრძელდება და ქუთაისი ახალი, მე-12 მერის მოლოდინშია. მე-11 მერი დიმიტრი კოპალიანი იყო და მან პოსტი 98 დღის განმავლობაში შეინარჩუნა. აქედან, 37 დღე შვებულებაში იმყოფებოდა. სულ ანაზღაურების სახით მიღებული აქვს – 7963.17 ლარი, მათ შორის პრემია — 2750 ლარის ოდენობით.

მისი მმართველობის დროს დაიწყო თვითმმართველი ქალაქის — ქუთაისის მერიის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. აღნიშნულ პერიოდში სამსახურიდან დაითხოვეს 86 თანამშრომელი, ხოლო მერის 2 მოადგილე დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლით გაათავისუფლა თანამდებობიდან. თუმცა, რეორგანიზაციიდან ძალიან მოკლე პერიოდში მერიამ სხვადასხვა სამსახურში 96 ადამიანი დაასაქმა. რაც შეეხება ჩატარებული რეორგანიზაციის კანონიერებას, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ რეორგანიზაციის საფუძვლით გათავისუფლებულთა სარჩელები, სადაც ისინი თანამდებობაზე აღდგენას ითხოვდნენ, სრულადდააკმაყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქუთაისის მერიის საშტატო ერთეული კიდევ რამდენიმე ათეულით გაიზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის მერი უნდობლობას უცხადებდა მერიაში მომუშავე სხვადასხვა თანამდებობის პირებს და მათი საქმიანობის შესწავლას მოითხოვდა. მას ასევე სურდა მრჩეველთა საბჭოს შექმნა, რომელიც უშუალოდ მერისათვის მომზადებდა ექსპერტულ დასკვნებს სხვადასხვა საკითხებზე.

2013 წლის 13 სექტემბერს დიმიტრი კოპალიანის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, მერის მოვალეობის შემსრულებელი ორჯერ შეიცვალა. პირველად მერის თანამდებობა ერთ-ერთმა ვიცე-მერმა კოტე ლომიძემ დაიკავა, რომელიც 30 სექტემბერს მეორე ვიცე-მერმა თენგიზ თოფურიძემ ჩაანაცვლა. როგორც თავად კოტე ლომიძე აცხადებს, გადანაცვლება განპირობებულია მის მიერ ქალაქის მერის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილით, თუმცა, კონკურსი ამ დრომდე არ გამოცხადებულა და არც კანონმდებლობა უკრძალავდა კოტე ლომიძეს ყოფილიყო მერის მოვალეობის შემსრულებელი კონკურსის გამოცხადებამდე.

მიგვაჩნია, რომ ქალაქის მერის ხშირი ცვლილება, ასევე შესაბამისი გამოკდილების არმქონე პირის მერის პოსტზე დანიშვნა აფერხებს ქალაქის განვითარებას და მერიის სამსახურების საქმიანობას, ასევე უარყოფითად აისახება მიმდინარე პროექტების განხორციელებაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" მოუწოდებს ქუთაისის საკრებულოს გამჭვირვალე გახადოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობა, დააკომპლექტოს იგი შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე წევრებით, რათა სწორად იქნეს შერჩეული სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები ქალაქის მერის თანამდებობის დასაკავებლად."

psnews.ge

გაიგეთ საპრეზიდენტო კანდიდატების მოსაზრებები აქტუალურ კითხვებზე

ინტერენეტ სივრცეში გაჩნდა საიტი prezidenti.ge, სადაც საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებზე პრეზიდენტობის მსურველი ყველა კანდიდატის მოსაზრების გაცნობაა შესაძლებელი. გაზეთი „P.S." მიმდინარე ნომერში სხვადასხვა აქტუალურ კითხვაზე პრეზიდენტობის 6 კანდიდატის მოსაზრებას გაგაცნობთ.

თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

მარგველაშვილი გიორგი:

უმუშევრობის პრობლემის მოგვარების გასაღები ეკონომიკის განვითარებაში. ახალი სამუშაო ადგილების შექმნაშია. თუმცა, ყველაზე განვითარებული ეკონომიკების ქვეყნებშიც კი არ არის უმუშევრობა სრულად აღმოფხვრილი. ჩვენ ეტაპობრივად უნდა მივიდეთ თანამედროვე წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილებამდე, როდესაც სახელმწიფო იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას უმუშევართა დახმარებაზე და, ამავე დროს, მათ გადამზადებაზე. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ადამიანებს, დაეუფლონ ახალ პროფესიებს, სპეციალობებს და იპოვონ საკუთარი ადგილი შრომის ბაზარზე. ეს პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩემი ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იქნება.

ნათელაშვილი შალვა:

უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად მთავარია ბიზნესის განთავისუფლება პოლიტიკური კლანებისგან, საშუალო და წვრილი ბიზნესის განვითარება.

ხარატიშვილი ზურაბ:

საქართველო ღარიბი, განვითარებადი ქვეყანაა. როგორც ყველა ასეთ ქვეყანას, საქართველოსაც ეკონომიკური სიდუხჭირე და უმუშევრობა ახასიათებს. პრობლემა მასშტაბურია და სწრაფად ვერ გადაწყდება. პრობლემის დაძლევას მრავალწლიანი, მიზანმიმართული და გააზრებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა სჭირდება.

საქართველოში უმუშევრობას აქვს როგორც კონიუნქტურული, ისე სტრუქტურული ხასიათი. ამიტომ ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ განათლებას.

მთლიანობაში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევისთვის საჭირო ამოცანების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკა, უმუშევრობის დაზღვევა და დაზღვევაზე გაწეული ხარჯების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლება და ახალი ცოდნისა და კვალიფიკაციის გავრცელების ხელშეწყობა.

სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად უნდა განვიხილოთ სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნა. ყველა დასაქმებულ ადამიანს უნდო ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიკეთოს გარკვეული დანაზოგი, რომელსაც გამოიყენებს პენსიის სახით — მოხუცებულობის დროს, ან საარსებო წყაროს სახით — სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში. ამ დანაზოგისთვის გადადებული ფული არ უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით.

რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?

მარგველაშვილი გიორგი:

ჯანდაცვის პოლიტიკის ამოცანებია როგორც დაზღვევის სისტემის შემდგომი დახვეწა, ისე – პრევენციული მედიცინის განვითარება. ამ მიზნით იგეგმება ხელმისაწვდომობის ზრდა ფასებსა და სერვისებზე, აგრეთვე – რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება: კვალიფიკაციის, ტექნოლოგიების ხარისხის ამაღლება, ახალი ამბულატორიების, საავადმყოფოების აშენება.

ნათელაშვილი შალვა:

უპირველესად, მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საბიუჯეტო უზრუნველყოფა.

ხარატიშვილი ზურაბ:

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სამედიცინო დაზღვევაზე გაწეული ხარჯები. ასეთი ხარჯები არ უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით. აგრეთვე, არასწორად მიგვაჩნია პოლიტიკა, რომელიც სადაზღვევო კომპანიების მიერ საავადმყოფოების მშენებლობას გულისხმობს. სადაზღვევო კომპანიები და სამედიცინო მომსახურების ცენტრები ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს და დაზღვეულ ადამიანს მომსახურების მიღება ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში უნდა შეეძლოს. ისევე როგორც სხვა სფეროებში, აქაც მთავარი მამოძრავებელი სტიმული კონკურენცია უნდა იყოს. სახელმწიფო მხოლოდ დამხმარე როლით უნდა დაკმაყოფილდეს.

სამედიცინო სფეროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მენეჯმენტისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების ნაკლებობაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებითა და მისი გონივრული იმპლემენტაციით არის შესაძლებელი, სადაც ძირითადი აქცენტი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს.

რომელ ქვეყნებთან /ქვეყანათა გაერთიანებებთან/ ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის - სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა /გაერთიანება/ ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

მარგველაშვილი გიორგი:

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაა, რაც გულისხმობს საერთაშორისო არენაზე ევროპული, დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის განმტკიცებას. აუცილებელია საგარეო პოლიტიკის გააქტიურება, რათა უზრუნველვყოთ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია. ევროპული კულტურა და ღირებულებები ყველაზე ახლოს დგას ქართულ ეროვნულ იდეასა და იდენტობასთან. ჩვენი მიზანია, საქართველო პოლიტიკურადაც გახდეს ევროპის სრულუფლებიანი წევრი და საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო ევროპული სახლის მშენებლობაში.

საქართველოს, ასევე აქვს ისტორიული მისია, იქცეს ევროპასა და აზიას შორის თანამშრომლობის, დიალოგისა და თანხმობის ადგილად.

ნათელაშვილი შალვა:

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები არიან ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო. შესაბამისად, ეს კურსი გაგრძელდება.

ხარატიშვილი ზურაბ:

საქართველოში მრავლად არიან დასავლური ორიენტაციის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, მათ სხვადასხვა არგუმენტები აქვთ. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, სიტყვის თავისუფლება და მეწარმეობის თავისუფლება არ უნდოდეს. დასავლეთიც ეს არის, შესაბამისი ღირებულებები და ინსტიტუტები. ჩვენთან ეს ყველაფერი ჯერ დამკვიდრების პროცესშია და, საბოლოოდ, დასამკვიდრებლად მხარდაჭერა გვჭირდება. სად უნდა ვიპოვოთ დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების, სიტყვისა და მეწარმეობის თავისუფლების მხარდამჭერი მოკავშირე – რუსეთში? ჩინეთში? ირანში? ცხადია, ასეთი მოკავშირე მხოლოდ დასავლეთია.

საქართველოს სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება თანამდეროვე სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისათვის საჭირო ცოდნა. ეს ცოდნა მხოლოდ დასავლეთის დახმარებით შეიძლება მივიღოთ. გარდა ამისა, დასავლეთი გვთავაზობს ტექნოლოგიებს, საუნივერსიტეტო განათლებას, ბაზარს, უსაფრთხოებას და ა.შ.

დასავლეთის სიდიდემ და შესაძლებლობებმა არ უნდა შეგვაშინოს. საქართველო ყოველთვის ახერხებდა დიდ ცივილიზაციებთან ადაპტაციას ისე, რომ საკუთარი უნიკალურობა შეენარჩუნებინა და განევითარებინა. ასე რომ, თუ ჩვენი ქვეყნის გვჯერა, უნდა გავიხსნათ ახალი ცოდნისა და ღირებულებებისთვის. ამით მხოლოდ გავძლიერდებით.

რუსეთის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რუსეთთან ურთიერთობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი აღზრდა ჩვენი საქმე არ არის. თუ რუსეთი ოდესმე მოისურვებს დასავლური ტიპის ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მხოლოდ მივესალმებით, თუმცა, ამას ვერ დაველოდებით. რუსეთი ისეთია, როგორიც არის და აქედან უნდა ამოვიდეთ მასთან ურთიერთობისას.

რის შემოთავაზება შეუძლია რუსეთს? არაფრის, გარდა იმისა, რომ იმაზე უფრო ცუდად არ მოგვექცევა, ვიდრე აქამდე მოგვექცა. რუსეთს არა აქვს არც ახალი პოლიტიკური იდეები და არც პროექტები. ე.წ. „ევრაზიული კავშირი" საბჭოთა კავშირის გადამღერებაა და სხვა არაფერი. რუსეთი გვთავაზობს მისი გავლით ვიურთიერთოთ დასავლეთთან. რატომ? ჩვენ მეცხრამეტე საუკუნეში აღარ ვცხოვრობთ და დასავლეთთან პირდაპირ, შუამავლების გარეშე შეგვიძლია ურთიერთობა.

***

როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

ბაქრაძე დავითი:

კეთილდღეობისკენ სწრაფვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და მისი რეალიზაცია მხოლოდ თავისუფალ გარემოშია შესაძლებელი. თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად უნდა ჩამოყალიბდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების ისეთი მოდელი, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას.

ამ მოდელის პრინციპებია მცირე მთავრობა, ფისკალური დისციპლინა, პასუხისმგებლობიანი მაკროეკონომიკური და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკა, დაბალი გადასახადები, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, მიზნობრივი სოციალური პროგრამების დანერგვით.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია: ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ყოველივე ამის შედეგად — მეტი კეთილდღეობის, განვითარებისა და სოციალური დაცულობის მოტანა საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

აცნობიერებს რა იმ როლს, რომელიც საქართველოს ენიჭება კასპიის ზღვისა და შუა აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსთვის ენერგორესურსების ალტერნატიული გზებით მიწოდების პროცესში, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ეკონომიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად მათი ეფექტიანი ფუნქციონირება მიაჩნია.

საქართველოსთვის ასევე პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება. საქართველო უნდა გახდეს ელექტროენერგიის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი, რისთვისაც, ენერგიის გამომუშავების ზრდის გარდა, აუცილებელია ქვეყნების დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობაც.

მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაც. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი ხელს შეუწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებას და ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებას. ანაკლიის ყურეში ლაზიკის პორტის აშენება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ახალ სიმაღლეზე აიყვანს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აზრით, ევროკავშირთან დაახლოება და ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნა მკვეთრ სტიმულს მისცემს სამუშაო ადგილების შექმნის პროცესს. ამიტომ, უნდა დაჩქარდეს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან და სათანადო მოლაპარაკებები აშშ-სთან.

ჯავახიძე სერგო:

საქართველოს ეკონომიკა ეფუძვნება ლიბერალიზმს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში, კერძო სექტორის როლის ზრდასთან არის დაკავშირებული. საქართველოსთვის მთავარ მიმართულებად რჩება საბიუჯეტო სისტემების სრულყოფა და საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი გაუმჯობესება, მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ეკონომიკური კრიზისების დაძლევა, შემდგომი ეკონომიკური ზრდა. საქართველო, ქართული ეკონომიკის წილში მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, კერძოდ კი სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებას, ექსპორტის მხარდაჭერას, კერძო ინვესტიციების მოზიდვას, გასაღების ბაზრების მოძიებაში სახელმწიფოს მხარდაჭერასა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლას. სახელმწიფო ინვესტიციები განხორციელდება: საწარმოო ინფრასტრუქტურაში (მათ შორის, საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში), ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, სარწყავ და სადრენაჟო სისტემების შექმნაში, კომუნიკაციების მშენებლობაში, ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მხარდაჭერაში, მიწის ხარისხისა და შემადგენლობის შეფასებაში.

კერძო ინვესტიციებისათვის შეიქმნება სრულყოფილი და დეტალური საინფორმაციო სისტემა საქართველოში არსებული აგრარული რესურსების შესახებ. ჩამოყალიბდება და განვითარდება მიწის ბაზარი. სახელმწიფო მონაწილეობას მიიღებს ქართული პროდუქციის რეკლამირებაში საერთაშორისო ბაზრებზე. საქართველო იბრძოლებს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, საჭიროების შემთხვევაში.

თარგამაძე გიორგი:

ჩვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საბიუჯეტო ხარჯების რაციონალიზაცია;
- საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით — პროგრესული გადასახადებისა და დაუბეგრავი მინიმუმის ამოქმედება;
- კონკურენციის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა კონკრეტული საგადასახადო ინიციატივით;
- ექსპორტის სახელმწიფო წახალისება;
- თავისუფალი ბიზნესის უკეთესი დაცვის მექანიზმების ფორმირება/გაძლიერება;
- მიზნობრივი იაფი სესხების უზრუნველყოფა მცირე ბიზნესისთვის;

სამართლიანი, დაბალი ტარიფების ფორმირება.

რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

ბაქრაძე დავითი:

დეოკუპაციის წარმატებით განსახორციელებლად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტ აქტიურობას რუსეთის ფედერაციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რათა მან აიღოს საქართველოს მიმართ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები, მათ შორის, სუვერენული ქვეყნის თანხმობის გარეშე მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგების დაუშვებლობის პრინციპი, და შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულება.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

„ქუთაისის ვიცე-მერი დეზინფორმატორია!“(?)

მერიასთან იქით გვაქვს კითხვები – თუ დაუსრულებელი იყო „კოლხური შადრევანი“, ექსპლუატაციაში რატომ მიიღეს?

პირველი გვერდიდან

2011 წელს ერთ-ერთმა ბრალდებულმა კომპანიამ „მშენებელი 2011“, ადგილობრივ თვითმმართველობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ქუთაისის ცენტრალური მოედნის კეთილმოწყობის ვალდებულება აიღო. როგორც თოფურიძე ამბობს, შპს-ს სამუშაოები ჯერ კიდევ 2012 წლის 1 მაისს უნდა დაესრულებინა, თუმცა, ჩაბარების ვადებმა 5-ჯერ გადაიწია, რაც ასევე კანონდარღვევაა, რადგან არ ყოფილა ფორსმაჟორული გარემოება. მისივე თქმით, ქუთაისის ცენტრალურ მოედანს ჯერ კიდევ არ აქვს საბოლოო იერსახე. თუმცა, მერიის კეთილმოწყობის სამსახურში ვერ აკონკრეტებენ, როგორი უნდა იყოს ცენტრალური მოედნის საბოლოო იერსახე და პროექტით გათვალისწინებული რა სამუშაოები არ ჩაატარა კომპანიამ.

ქუთაისის მერიამ კიდევ ერთი დარღვევა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში აღმოაჩინა. როგორც ცნობილი გახდა, მერიამ თეატრისთვის შშს „ექსპოგრაფისგან“ სავარძლები შეიძინა, რომლებიც, როგორც გაირკვა, უხარისხო აღმოჩნდა, მაგრამ ამ დრომდე შშს-ს ამაზე პასუხი არ უგია. იმ ფაქტს, რომ მესხიშვილის თეატრისთვის შეძენილი სავარძლები ძველი და უხარისხო იყო, ადასტურებს მესხიშვილის თეატრის ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე.

მესხიშვილის თეატრის მსგავსად, დარღვევა აღმოჩნდა ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრის რეაბილიტაციის ხელშეკრულებაშიც. როგორც ირკვევა, მერიამ სს „დაგი“-სგან მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლად ჩაიბარა ობიექტი და ექსპლუატაციაშიც შევიდა.

ქუთაისის მერია კომპანიების მიერ ხელშეკრულებებში დარღვევის ფაქტებზე რეაგირებას ელოდება. უკვე ცნობილია, რომ ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელ კომპანიას 620104.78 ლარი საჯარიმო სანქციის სახით ეკისრება.

რა თანხებით დაჯარიმდენიან შპს „ექსპოგრაფი“ და სს „დაგი“ და გადაეცემა თუ არა სამივე კომპანიის საქმე სამართალდამცავ ორგანოებს, ჯერჯერობით, უცნობია.

გაზეთი „**P.S.**“, აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით, კომენტარისთვის მერიის მიერ დადანაშაულებულ კომპანიებთან დაკავშირებას შეეცადა.

შპს „მშენებელი 2011“-ის იურისტმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ქუთაისის ვიცე-მერი დეზინფორმაციას ავრცელებს, მაშინ, როდესაც საქმის შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობს.

„ქუთაისის ვიცე-მერი არის დეზინფორმატორი, როგორც ჩანს, ის არის ინფორმაციულ ვაკუუმში, რადგან მისი ბრალდება ჩვენს მიმართ არის უსაფუძვლო. 2012 წელს ჩვენმა კომპანიამ სამუშაოები სრულად ჩააბარა. თოფურიძემ ისიც კი არ იცის, რომ შპს „მშენებელი 2011“-ის მიერ წარმოებულ სამუშაოებზე სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსტერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა არსებობს, სადაც წერია, რომ სამუშაოები პროექტის მიხედვით სრულად და საფუძვლიანად არის ჩატარებული. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე პრობლემა სანიაღვრე სისტემასთან დაკავშირებით შეიქმნა, გაუმართავი სანიაღვრე სისტემის გამო, ძლიერი წვიმის შედეგად მოვარდნილმა წყალმა ქვაფენილები აყარა, თუმცა, ეს ნამდვილად არ არის ჩვენი ბრალი, რადგან სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება რატომღაც პროექტით არ იყო გათვალისწინებული და ჩვენ კიდევ არ გვქონდა უფლება, პროექტით გაუთვალისწინებელი სამუშაოები გვეწარმოებინა. იმისაც გეტყვით, რომ ამ შემთხვევის გამო, ჩვენ ხელმეორედ მოგვიხდა, სამუშაოები ჩაგვეტარებინა. როგორც ჩანს, სხვა დეტალებთან ერთად, ქუთაისის ვიცე-მერი არც იმის შესახებ ფლობს ინფორმაციას, რომ ოთხი თვის წინ შპს „მშენებელი 2011“-ში ფინანსური პოლიცია შემოვიდა და ყველა დოკუმენტი წაიღო, მაგრამ ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოაჩინა. არ ვაპირებთ საქართველოს სამხარეო სამმართველოს კვლევითი ცენტრის, „დელტას“ მიერ დაფუძნებული კომპანიის იმიჯის შელახვა ასე მშვიდად მივიღოთ. ვაპირებთ წერილის მომზადებას ქუთაისის მერის სახელზე. ჩვენ არანაირი სასამართლოსი არ გვეშინია, რადგან კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა გვაქვს. პირიქით, იქით გვაქვს კითხვები ქუთაისის მერიასთან, თუ დაუსრულებელი იყო სამუშაოები, მაშინ 2012 წლის 2 მაისს „კოლხური შადრევანი“ ექსპლუატაციაში რატომ მიიღეს?“ — განაცხადა შპს „მშენებელი 2011“-ის იურისტმა **მარიამ ჯორბენაძემ.**

რაც შეეხება შპს „ექსპოგრაფს“, როგორც მისმა დირექტორმა, თემურ ნოზაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, კომპანიას იქით აქვს სადაო მერიასთან, რადგან ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მათ შესრულებული სამუშაოებისთვის თანხა არ გადაუხადა, თუმცა ადასტურებს, რომ შესრულებულ სამუშაოებში ხარვეზები მართლაც იყო, რომელთა გამოსწორებაც ობიექტის საბოლოო ჩაბარებამდე მოხდა.

„რას გვედავებიან? პირიქით იქით შევედავებით მათ, რადგან სამუშაოები ჩვენი ხარჯებით გავაკეთეთ და მერიას თანხა არ ჩამოურიცხავს ჩვენთვის. რაც შეეხება შესრულებას, იყო რაღაც ხარვეზები სავარძლებთან დაკავშირებით, მაგრამ გამოვასწორეთ. სამართალდამცავი ორგანოები რომც დაინტერესდნენ, რა მოხდება ამით? არ არის გამორიცხული, მერიას თანხის გადახდა არ უნდოდეს და ამიტომ დაიწყ ეს ამაზე საუბარი,“ — აღნიშნა **თემურ ნოზაძემ.**

სს „დაგი“-სთან, რომელსაც ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა ბალანჩივაძეების სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესრულებული უხარისხო სამუშაოების გამო ედავება, დაკავშირება ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გახანგრძლივება პირველი შემთხვევა არ არის. მაგალითად, ქუთაისის მერიამ სამუშაოების ჩაბარების დრო შპს „შიტრიტ ჯგუფს“ რამდენჯერმე გადაუვადა.

შპს „შიტრიტ ჯგუფს“ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართელობიდან პირდაპირი მიყიდვის გზით 13 ობიექტი 3. 143 000 ლარად გადაეცა, ხელშეკრულებით კომპანიას ნაკისრი ვალდებულებები 2013 წლის 1 იანვრამდე უნდა დაესრულებინა, თუმცა, ვადები დაირღვა და კომპანიამ ობიექტების ჩაბარება ვერ შეძლო. „შიტრიტ ჯგუფმა“ დადგენილ ვადებში ვერც საპრივატიზაციო თანხის სრულად დაბრუნება მოახერხა. მან მხოლოდ თანხის ნაწილი დაფარა, რის გამოც კომპანიას ჯარიმები დაერიცხა. მიუხედავად ამისა, ქუთაისის მერიისა და ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, შპს „შიტრით ჯგუფს“ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად დრო გაუხანგრძლივდა.

ნესტან ჩაგელიშვილი

ვინ და რატომ გაათავისუფლა „ნაციონალი“ „ქუთსერვისჯგუფის“ დირექტორი?

ქუთაისის მერიასთან არსებული დასუფთავების კომპანია „ქუთსერვისჯგუფის“ ყოფილი დირექტორი ლაშა დვალიშვილი, თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს კოტე ლომიძეს ადანაშაულებს. მისი თქმით, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იგი დაკავებული პოსტიდან გაუშვეს, პოლიტიკურად განსხვავებული ორიენტაციაა.

„P.S. ფოტო“ ©

პარლამენტარი გია თევდორაძე და ლაშა დვალიშვილი

ლაშა დვალიშვილი მერიის კუთვნილი კომპანიის დირექტორის თანამდებობას 2011 წლიდან იკავებდა. იგი პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია. დვალიშვილი ჰყვება, რომ, დაახლოებით, სამი თვის მანძილზე კომპანიაში შესაბამისმა სამსახურმა შემოწმება დაიწყო. ამის პარალელურად, იგი მერის მოვალეობის შემსრულებელმა საკუთარ კაბინეტში დაიბარა და პოსტის დატოვების შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ კი, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. დვალიშვილი აცხადებს, რომ ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება მის მიმართ პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებს.

„სამი თვე ამოწმებდნენ კომპანიას, შექმნეს ფოტოკოლაჟი და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ გამათავისუფლეს პოსტიდან. მითხრეს, რომ სანაგვე ურნები მანამდე უნდა გაგვეცალა, ვიდრე გაივსებოდა, რაც ცხადია, მოგონილი მიზეზია. ერთადერთი რეალური მიზეზი, რის გამოც გამიშვეს, არის ის, რომ ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. კოტე ლომიძემ ისიც კი მითხრა,„პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის პარტიული ლიდერის გოჩა თევდორაძის დავალებაა ასეთიო,“ — ამბობს **ლაშა დვალიშვილი.**

შპს „ქუთსერვისჯგუფის“ დირექტორის პოსტიდან გაშვების ფაქტს საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნეს „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის ორგანიზაციაში. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა გიორგი თევდორაძემ, ორგანიზაციის ოფისში გამართულ ბრიფინგზე, პოლიტიკური ნიშნით დევნაზე ისაუბრა და უწყებათაშორის კომისიას წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ მსგავს ფაქტებზე რეაგირებისკენ მოუწოდა.

ვინ და რატომ გაათავისუფლა ლაშა დვალიშვილი დაკავებული პოსტიდან? ამაზე ადგილობრივ თვითმმართველობაში პასუხი არ აქვთ. ბრალდების მთავარი ადრესატი კოტე ლომიძე ამბობს, რომ დვალიშვილის გათავისუფლების მომენტში, 4 ოქტომბერს, იგი მერის მოვალეობას არ ასრულებდა.

„მე მაშინ ვიცე-მერი ვიყავი, მერის მოვალეობას კი თენგიზ თოფურიძე ასრულებდა, შესაბამისად, ჩემი მისამართით დვალიშვილის ბრალდება უსაფუძვლოა. გარდა ამისა, პოლიტიკურ ზეწოლას ნებისმიერ შემთხვევაში გამოვრიცხავ, რადგან მერიის თანამშრომელთა 60% „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია და ისინი დღემდე მუშაობენ ჩვენთან,“ — განაცხადა **კოტე ლომიძემ.**

დვალიშვილის გათავისუფლებაზე საუბარი არ სურს ვიცე-მერს თენგიზ თოფურიძეს. თოფურიძემ მომხდარზე კომენტარის გაკეთებისგან კატეგორიული უარი განაცხადა.

„ეს არის ჩემი კონსტიტუციური უფლება, არ გავაკეთო კომენტარი.“ — მედიისთვის გაკეთებული ეს განცხადება თოფურიძის მისაღებში გააჟღერეს.

შპს „ქუთსერვისჯგუფი“ ქუთაისის მერიაში 2011 წელს შეიქმნა. მას ქალაქის 87 ქუჩის დასუფთავებაზე აქვს აღებული პასუხისგებლობა.

ლაშა დვალიშვილი უკვე ჩაანაცვლა მისმა მოადგილემ. კომპანიის ახალი უფროსი, ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსი, თემურ ცაგარეიშვილი გახდა. იგი „ქუთსერვისჯგუფის“ დირექტორად მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს დაინიშნა.

მარიამ პატარაია

გოგი წულაია „უუნარო“ ხელისუფლების წინააღმდეგ

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გოგი წულაიამ 9 ოქტომბერს ქუთაისში, წერეთლის ქუჩის №2-ში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესული შენობის პირველ სართულზე არსებული მოსაცდელის გასხვისება გააპროტესტა. წულაიას განცხადებით, წერეთლის №2, სადაც ადრე სალონი იყო განთავსებული, სოფიო ხომასურიძეს ეკუთვნოდა. მაგრამ, იმის გამო, რომ მესაკუთრემ თანხა ვერ დაფარა, საკუთრება ბანკმა გაუყიდა. წულაია ასევე აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრში დოკუმენტაციის გაყალბების ჩვეული გზით, აღნიშნული ფართი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსის“ საკუთრებაში გადავიდა და ახალი მფლობელი აღნიშნული შენობის პირველ სართულზე არსებული მოსაცდელის შემინვას გეგმავს.

„თუკი ახალი მესაკუთრე ამ მოსაცდელს მართლა შემინავს, პირადად მოვალ, არ მოვერიდები ჯარიმას და ქვით ჩავამტვრევ მინებს, დავუმტკიცებ ამათ, რომ ეს ქვეყანა მარტო მათი არაა. ფართი წინა ხელისუფლების დროს გასხვისდა, მაგრამ ამ უკანონო გადაწყვეტილების წინაშე ახალი ხელისუფლება უუნარო აღმოჩნდა,“ — აღნიშნა წულაიამ.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

გაიყიდება თუ არა სახელმწიფო მიწები?

მიწა-წყლის გამყიდველებს იუმორით საქართველოში მინერალური წყლის მწარმოებლებსა და მეთუნეებს ეძახდნენ, ახლა კი მათი ადგილი იუმორისა და ხუმრობის გარეშე სახელმწიფო სტრუქტურებმა დაიკავა. ემოციური თვალსაზრისით, ქართველს ნამდვილად ურჩევნია, რომ მიწის მფლობელი მხოლოდ თვითონ იყოს საქართველოში, ცივი გონებით თუ იმსჯელებს, დაამატებს, რომ მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქეცო.

ეთნიკური ნიშნით გამორიცხულია მიწის მიკუთვნება, მაგრამ ერთი საკითხი უნდა განზოგადდეს: თუ ჩვენ ხელაღებით გავასხვისებთ მიწებს, მაშინ საქართველოს მთავარი უძრავი რესურსის, მიწის მესაკუთრე მაინც სხვა იქნება და რატომ ვდარდობთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს? მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ რუკაზე ბევრად უფრო მცირე, დაახლოებით, 15 ათასი კვადრატული კილომეტრით ნაკლები რომ გამოვჩნდებით?! მსოფლიოში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების გაუარესების გამო ისედაც მიმდინარეობს მიწების დეგრადაცია, დაჭაობება, გაუდაბნოება, დამეწყვრა და ეროზია, რაც საქართველოში უგუნური ბუნებათსარგებლობით კიდევ უფრო თვალში საცემია. იმ დროს, როცა სახელმწიფოს გააჩნდა საკადასტრო სამსახური და მიწის შესახებ არსებობდა ყოველმხრივ სარწმუნო ინფორმაცია, ერთ სულ მოსახლეზე მოითვლებოდა 0,14 ჰექტარი მიწა. ამჟამად კი ამ საკითხზე სერიოზულად არავინ ფიქრობს და, ძირითადად, საპიარო და პოლიტიკური ქულების დაწერისთვის მჯიღის ცემა შედეგებამდე რომ ვერ მიგვიყვანს, ცხადია.

„საქართველოში მიწის მესაკუთრე უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, ხოლო ტყეების და საძოვრების — მხოლოდ თვითმმართველობა. მაშინ ვერც ინდოელი, პაკისტანელი და პენჯაბელი ფერმერები ვერ დაეუფლებიან მიწებს საქართველოში,“ — აცხადებს **კახა კუკავა**. დავსვათ კონკრეტული შეკითხვა ბატონი კუკავას წინაშე: როცა საქართველოს მოქალაქეობის მიღება უფრო ადვილია უცხოელებისთვის, ვიდრე პამიდვრის მოყვანა ქართლელი გლეხისთვის, მაინც უცხოელების ხელში არ მოხვდება მთავარი ეროვნული სიმდიდრე?! კუკავას პოზიციისგან არაფრით განსხვავდება ბევრი სხვა პოლიტიკოსის შეხედულება (ლეიბორისტები, „პატრიოტები“, „ხალხის პარტია“ და სხვები) და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მიწების გაყიდვას.

გასულ წელს საქართველოს მთავრობამაც არ დაახანა და შეწყდა მიწების გასხვისება, რასაც ვიცე-პრემიერ კვირიკაშვილისგან მარტივი ახსნა მოჰყვა: აღრიცხვის საკითხია მოსაწესრიგებელიო! რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიციას, აქ თემს უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი უფლება, გასხვისდება თუ არა მიწაო. ალბათ, ევროპული მენტალიტეტი დაგვეხმარა ქართველებს ერთი პატარა სოფლის უმიწოდ დატოვების საშიშროების თავიდან აცილებაში. შვეიცარიელ მეწარმეებს უნდოდათ, ეყიდათ მიწის არც ისე დიდი ფართობი, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ ეს ფართი სოფლის საძოვარ ტერიტორიას წარმოადგენდა, უთქვამთ, რომ სოფელს ვერ დატოვებდნენ საარსებო საშუალების გარეშეო, თუმცა, იგივეს არ ამბობენ ინდოელი თუ სხვა ერის წარმომადგენლები. საკმაოდ შთამბეჭდავია ციფრები, რომელიც მიწების გასხვისებას ეხება: 2010 წელს ინდოეთის მოქალაქეებმა 32 მიწის ნაკვეთი შეიძინეს, 2012 წელს ეს ციფრი 983-მდე გაიზარდა, თუმცა, 2013 წელს, მას შემდეგ, რაც ამ კუთხით ახალი რეგულაციების შემოღება დადგა დღის წესრიგში, სულ 2 გარიგება შედგა.

საკმაოდ შემაშფოთებელია ეს მაჩვენებლებიც: 2011 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისებულმა (გაყიდულმა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებმა, ჯამში, 6815,2004 ჰექტარი შეადგინა. 2012 წელს სამინისტროს და სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით 6647,2801 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გასხვისდა. ახლა კი საქსტატის მონაცემებს გადავხედოთ: ქვეყნის მთლიანი ფართობი 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრია; 2.6 მლნ ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულია. საქართველოს ერთ მოსახლეზე, საშუალოდ, 0.6 ჰექტარი სახნავი და 0.62 ჰექტარი საძოვარი ფართობი მოდის. ანუ კომუნისტური ეპოქის შემდეგ პარალელურ რეჟიმში შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, რასაც ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებელი უნდა გაეზარდა, მაგრამ 0,12-მდე შემცირდა საჰექტარო მაჩვენებელი, რაც, ძირითადად, აიხსნება სავარგულების დეგრადაციით.

უნდა შეჩერდეს თუ არა საბოლოოდ მიწების გასხვისების პროცესი უცხოელებზე?! ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. „თუ არ გვინდა, რომ მიწა დაიხნას და დამუშავდეს, მაშინ დავადოთ დიდი ბოქლომი საქართველოს!“ („ახალი ეკონომიკური სკოლის“ ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე), ანუ თუ უცხოელებმა არ დამუშავეს მიწა, ქართველებს ამის არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ გვაქვს?!

გასულ კვირაში აშშ-ს ელჩმა ტრადიციული შეშფოთება გამოხატა მიწების უცხოელებზე გაყიდვის შეწყვეტის საკითხზე და უკვე დაიწყო ხელისუფლებაში საუბარი, რომ მიწების გაყიდვა-გასხვისების პროცესი გაგრძელდება. „პოსტკრიპტუმი“ დაინტერესდა, რამდენად აპრობირებულია მიწების უცხოელებზე გაყიდვა.

ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ბერძენაძე, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობს, აზია, აფრიკა-ამერიკის ქვეყნების ეკონომიკის საკითხებზე, გვპასუხობს:

„ეგვიპტეში, მაქსიმუმ, 4000 კვადრატული შეგიძლია, იყიდო, მაგრამ, რომ იყიდი, გადასახადის სახით შესყიდვა+ მოსაკრებელი+ასე შემდეგ, 11% უწევს მთლიანი ღირებულებისა.

ინდოეთში არ იყიდება უცხოეთის მოქალაქეებზე მიწები, თუ ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, არც სახლები, თუ არ ხარ ინდოელი.

ჩინეთში მიწა არ სხვისდება, მხოლოდ გრძელვადიანი იჯარით გაიცემა და ისიც ადგილობრივებზე, უცხოელებზე არა.

თურქეთში მაქსიმუმ 30 ჰექტარი შეგიძლია, იყიდო, ამაზე მეტს მაინც არავინ მოგყიდის, კანონით იკრძალება.

ასე უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება!“

თუ რატომ არიან ინდოელები დაინტერესებული საქართველოში მიწების შესყიდვით, ამაზე ბატონი ირაკლი გვპასუხობს: „ინდოელები იმიტომ ყიდულობენ მიწებს საქართველოში, რომ ინდოეთში ერთი კვადრატული მიწის ფასი 2 დოლარია (იწყება აქედან) და გაყიდიან იქ 10 ჰექტარს და საქართველოში ამ ფულით იყიდიან, დაახლოებით, 100 ჰექტარს! ზოგადად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები უცხო მოქალაქეებზე არ იყიდება არსად. მხოლოდ იჯარით გაიცემა, ისიც საკუთარ მოქალაქეებზე.

აღნიშნულ საკითხზე დემურ გიორხელიძე ემოციურად აცხადებს: „მორალურიუმი უნდა მოეხსნათ მიწის უცხოელებზე გაყიდვაზე, განუკითხავად უნდა გავყიდოთ ყველაფერი, თორემ, — არიქა (?!), ინვესტორები უარს ამბობენ საქართველოში ფულის ჩადებაზეო! ჯერ მიწა — მერე ინვესტიციებიო! აშშ-ს ელჩი ნორლანდიც რომ „წაეხმარათ“ — ეს მენტორი! სად არსებობს ნორმალური ქვეყანა, მიწას უცხოელი თავისუფლად ყიდულობდეს! აშშ-ში უცხოელებზე (ძირითადად ინგლისელებზე და სხვა დასავლელ-ევროპელებზე) გაყიდულია მხოლოდ მიწის 1%. 62%-ზე მეტი მიწა აშშ-ში სახელმწიფოს ხელშია! მაპატიეთ და... რას „გვადურაკებენ?!“ ეს მახინჯი და მავნებელური ინიციატივები თანადაფინანსების ფონდის პრეზენტაციის დღეს გაისმა ენერგიულად და ფონდის საქმიანობის დაწყებას დაუკავშირდა! გახვრეტილ შაურად არ ღირს ეს ფონდი, თუ მის საქმიანობას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების განუკითხავად გაყიდვა მოჰყვება. საქართველოს გაღარიბებულ მოსახლეობას არ შესწევს უნარი შეისყიდოს საკუთარი ქვეყნის მიწები, ერთ-ერთი მიზანი, ჩვენი ხალხის ხელოვნურად დაძაბუნებისა და გაღარიბებისა სწორედ ეს იყო — საკუთარ ქვეყანაზე დააკარგვინონ კონტროლი!

საქართველოს პარლამენტის წევრებს მართებთ ელემენტარული პასუხისმგებლობის გამოჩენა... სწორი და ცივილიზებული რეგულაციები და შეზღუდვები ამ მიმართულებით აუცილებელია. ასეთ შეზღუდვებზე უხვმიწიანი ქვეყნებიც კი მიდიან და ჩვენ ვალდებულნი ვართ, საკუთარ უმნიშვნელოვანეს და სასიცოცხლო რესურსს გავუფრთხილდეთ... ბინადრობის ცენზი უცხოელებისათვის, ვისაც მიწის შესყიდვა უნდა საქართველოში და კანონით მიწის იმ ფართობის ოდენობის განსაზღვრა (3%, 5% ანდა სხვა), რომლის გასხვისებაც შესაძლებელი იქნება უცხოელებზე.“

მოსაზრება, რომ მიწის 5%-მდე გასხვისება უნდა მოხდეს, არაერთ ადამიანს უთქვამს, აქ შესაძლოა, გათვლა იმაზეა, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაზე მუშაობას თავს არიდებს. თუმცა, ეს არ არის სიზარმაცით გამოწვეული. ის აგროპოლიტიკა, რომელიც ხორციელდებოდა, ქართველი გლეხების უმეტესობას აიძულებდა მიწის მიტოვებას, რადგან სოფლის მეურნეობით თავის რჩენა არ შეეძლოთ და მიგრაციის უწყვეტი პროცესის თანამონაწილე გახდნენ. იმედია, რომ უზარმაზარ სალაყბოდ სახელდებული პარლამენტი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს და მთავარი სიმდიდრის გარეშე არ დატოვებენ საქართველოს.

როლანდა ხოჯანაშვილი

psnews.ge

რა კავშირი აქვს ეპარქიების დაყოფას პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლასთან?

სასულიერო პირთა „ზნეობრიობას“ სპეციალური კომისია შეისწავლის

პირველი გვერდიდან

სინოდმა პენსიაზე გაუშვა ზესტაფონისა და მარგვეთის მიტროპოლიტი მეუფე ვახტანგი, რომელსაც ზესტაფონელ მრევლთან ხანგრძლივი დაპირისპირება ჰქონდა. მრევლი მეუფეს წმინდანების გმობასა და ეკლესიის ქონების მითვისებაში ადანაშაულებდა. მეუფესა და მრევლს შორის მწვავე კონფლიქტი მიტროპოლიტისთვის ეკლესიის კარის აჭედვამდეც კი მივიდა. ზესტაფონელთა ნაწილი მეუფის ღვთისმსახურებიდან ჩამოშორებას მოითხოვდა.

სინოდის სხდომის გადაწყვეტილების შემდეგ კი ყოფილი მიტროპოლიტი აცხადებდა, რომ იგი პენსიაზე საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გაუშვეს.

კიდევ ერთი სასულიერო პირი, რომელიც სინოდის გადაწყვეტილებით პენსიაზე გავიდა, ფშავ-ხევსურეთსა და თიანეთის ასევე ყოფილი მიტროპოლიტი თადეოზია.

სხდომის გამართვის წინა დღეებში საუბარი იყო ასევე იმაზეც, რომ სინოდი ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ მეუფე კალისტრატეს მღვდელმსახურებიდან ჩამოშორების და მის პენსიაზე გაშვებას გეგმავდა, რაც არ გამართლდა. არ დადასტურდა ქუთაის-გაენათის ეპარქიის შესაძლო გაყოფასთან დაკავშირებული წინასწარ გავრცელებული ინფორმაციაც. მეუფე კალისტრატე კვლავ ქუთაის-გაენათის ეპარქიის წინამძღოლად რჩება.

***

სინოდის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რელიგიასთან დაკავშირებით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. სინოდის წევრებმა საერთო უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მიუხედავად კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, გადაწყვეტილებების მიღება ხდება საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად. სინოდი მოუწოდებს სახელმწიფოს, მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონპროექტი მომზადდეს საქართველოს საპატრიარქოსთან კონსულტაციების შედეგად. ამის უზრუნველსაყოფად სინოდის გადაწყვეტილებით კიდევ ერთი კომისია შეიქმნება, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

„სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების დამტკიცება მოხდა საპატრიარქოსთან და საზოგადოებასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, რაც საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირთა და მრავალრიცხოვანი მრევლის მღელვარების მიზეზი გახდა. მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ანალოგიური საკითხების განხილვისას, კონსულტაციები გაიმართოს საქართველოს საპატრიარქოსთან, რათა, აღნიშნული თემის სიფაქიზიდან და სპეციფიურობიდან გამომდინარე, თავიდან იქნას აცილებული შესაძლო გართულებები,“ — ნათქვამია სინოდის სხდომის ოქმში.

მთავარი გადაწყვეტილება კი სინოდმა ახალი ეპარქიების შექმნით მიიღო. სხდომაზე 6 ახალი ეპარქიის ჩამოყალიბება და 7 მღვდელმთავრის დანიშვნა მოხდა.

როგორც წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ზოსიმემ განაცხადა, ახალი ეპარქიების საქართველოს ეკლესიის გაძლიერების მიზნით შეიქმნა, თუმცა, თეოლოგი ბექა მინდიაშვილი, საპატრიარქოს გადაწყვეტილებას, კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ძალაუფლების შემცირებისა და პატრიარქის ტახტთან მიახლოების მცდელობას უწოდებს. მისი თქმით, ეპისკოპოსების გამრავლება ხელს აძლევს პატრიარქის ძმისშვილს, დიმიტრი შიოლაშვილს.

პირველი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ბექა მინდიაშვილმა განაცხადა: „ორი წლის წინ დადგა ეს საკითხი და მაშინ გავრცელდა წერილი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ეს არის პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლის კონტექსტში განსახილველი საკითხი. გაყოფა ეპარქიებისა და ეპისკოპოსების გამრავლება ხელს აძლევს ერთ-ერთ გავლენიან მიტროპოლიტს, დიმიტრი შიოლაშვილს იმისთვის, რომ პოზიციები გაიმაგროს საპატრიარქო ბრძოლის ესტაფეტაზე. როგორც ჩანს, მაშინ ეს ვერ განხორციელდა და ახლა მიმდინარეობს ეს პროცესი. არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები კიდევ იხილოს საზოგაოდოებამ.“

ახალი მღვდელმთავრების კურთხევა სვეტიცხოვლის ტაძარში, ყოველ კვირას, მორიგეობით მოხდება.

მარიამ პატარაია

ოჯახში მესამე ბავშვს, შესაძლოა, ყოველთვიური დახმარება 100 ლარი დაენიშნოს

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ 2014 წლის ბიუჯეტის განხილვისას გაახმოვანა საინტერესო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს მესამე ბავშვისთვის ყოველთვიური დახმარების მიცემას.

„მე გავაჟღერე ინიციატივა, რომ ოჯახში ყოველი მესამე ბავშვი დაფინანსდეს ყოველთვიურად. ეს გარკვეულწილად გადაანგარიშებული გვაქვს და ამას სჭირდება, დაახლოებით, 5 მილიონი ლარი. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა იქნება და ხელს შეუწყობს შობადობის გაზრდას, რაც თავის მხრივ, დემოგრაფიული პროგრამის გადაჭრაში დაგვეხმარება, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ პირველ რიგში, ვფიქრობთ, ის რეგიონები დავაფინანსოთ, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა. კომიტეტზე, ალბათ, წარმოდგენილი იქნება საფინანსო დოკუმენტი უკვე გათვალისწინებული შენიშვნებით და ვნახავთ, და კომიტეტს დამოკიდებულება ექნება შესაბამისი,“ — აცხადებს **დიმიტრი ხუნდაძე.**

დეპუტატი მიიჩნევს ასევე, რომ დემოგრაფიული პრობლემის გადასაჭრელად აქამდე განხორციელებული ორი ცვლილებაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია:

„ქვეყანაში არსებობს დემოგრაფიული პრობლემა და ამ კუთხით ორი უმნიშვნელოვანესი წინადადება წარდგენილი იქნა. ერთი, რომ მშობიარობის ნაწილში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სახელმწიფო აფინანსებს ფიზიოლოგიურ მშობიარობას 500 ლარის ოდენობით და საკეისრო კვეთას — 800 ლარის ოდენობით. დღმდე უკვე 9 ათასზე მეტი მშობიარობაა დაფინანსებული. ასევე, რამდენიმე დღის წინ იყო წარდგენილი ინიციატივა დეკრეტული შვებულებების ნაწილში შემწეობის გაზრდასა და დღეების რაოდენობის ზრდაზე.“

psnews.ge

ხალხის აზრი

როგორ შეაფასებდით ახალი ხელისუფლების მიერ განვლილ ერთ წელს?

ნებული სვანიძე

ნებული სვანიძე, პედაგოგი: „შევაფასებდი დადებითად იმიტომ, რომ დიდი და სასიკეთო საქმე გაკეთდა ქვეყანაში: წინა ხელისუფლება გავიდა სამოღვაწეო ასპარეზიდან. მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ გასაკეთებელი, საზოგადოება დათრგუნული და გაღატაკებულია და ამას მიხედვა უნდა."

მაგული შენგელია

მაგული შენგელია, პენსიონერი: „მე, როგორც ევროპაში გადახვეწილი ემიგრანტი, ვინც არ უნდა იყოს მთავრობაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავაფასებ, თუ ქართველებს ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების საშუალება გვექნება და არ მოგვიწევს სხვაგან წასვლა ლუკმაპურის საშოვნელად."

მარია გრიგოლაშვილი, დიასახლისი: „დასაწყისში თითქოს კარგად დაიწყეს მმართველობა, მაგრამ მერე ყველა დუნდება, მასე იყო სააკაშვილიც. პირველი ორი წელი ყველაფერს სწორად აკეთებდა, ბოლოს კი სულ აურია. აწი რა იქნება, არ ვიცი, მომავალი გვიჩვენებს."

ოლიკო ტრაპაიძე

ოლიკო ტრაპაიძე, ექიმი: „უარყოფოთად შევაფასებ. უკეთესი არაფერი გაკეთებულა, განსაკითრებით სამედიცინო სფეროში, პირიქით — გაუარესდა სიტუაცია.

მაგული ღოღობერიძე, იურისტი: „ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ უნდა დაველოდოთ, დავაცადოთ ახალ ხელისუფლებას, გამოასწოროს ყველაფერი. მე უკეთესობის იმედი მაქვს."

კარლო მაჭარაშვილი

კარლო მაჭარაშვილი, მშენებელ-ინჟინერი: „ამ დროის განმავლობაში დიდად სახეირო არაფერი მომხდარა, მაგრამ უნდა შევუწყოთ ხელი ამ მთავრობას, ვადროვოთ, რომ მოაწესრიგოს ყველაფერი. ჩემი აზრით, კოჰაბიტაცია უშლით ხელს, ალბათ, და ამიტომ ვერ არის თამამად „ქართული ოცნება". დამთავრდება არჩევნები, ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს და იმედია, მერე გამოსწორდება ყველაფერი."

ჯამბული გელაზანია, პედაგოგი: „მთავარი, რაც ამ ერთ წელიწადში მოხდა, ისაა, რომ წავიდა ძველი მთავრობა. თუმცა, ბოლომდე მაინც არ არის წასული. ამიტომ, უნდა დაველოდოთ. ახალი მთავრობის მმართველობაში იყო რაღაც ძვრები ქვეყანაში, მაგრამ ისეთი არა, როგორსაც მთელი საქართველო ელოდა. ამიტომ, სანამ ეს არჩევნები არ ჩაივლის და ყველაფერი არ დალაგდება თავის ადგილზე, მანამ კიდევ გაურკვევლობაში ვიქნებით."

ჟანა ჯანელიძე

გაიგეთ საპრეზიდენტო კანდიდატების მოსაზრებები აქტუალურ კითხვებზე

მე-3 გვერდიდან

დეოკუპაციის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში უკვე დამკვიდრებული ტერმინის — „ოკუპაცია" — შენარჩუნება; საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება და ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდისა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის ფაქტების აღიარება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიიჩნევს, რომ საქართველო ყველა პოლიტიკური, სამართლებრივი და მშვიდობიანი საშუალებით წინ უნდა აღუდგეს რუსეთის ფედერაციის ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის და ქონებრივი მდგომარეობის უკანონოდ შეცვლისკენ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება, მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სრული დაცვით, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით და სხვა იმგვარი პირობების შექმნით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, ისარგებლონ უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების უფლებით.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მოწოდებულია, საქართველომ შექმნას ისეთი ფორმატები და წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებას ქვეყნის დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებთან, ოკუპაციის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული საქართველოს მოქალაქეების ურთიერთობათა გაღრმავებას და ამ მოსახლეობის ეტაპობრივ ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. ამ მიზნით, „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შემუშავდა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ — ჩართულობა თანამშრომლობის გზით" და „ ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა".

ჯავახიძე სერგო:
ჩვენ უარს ვამბობთ ძალის გამოყენებით კონფლიქტების მოგვარებაზე. გვინდა გაერთიანება და აფხაზ და ოს ხალხთან ერთად თანაცხოვრება.

- უნდა ვიპოვოთ საერთო ენა აფხაზებთან და ოსებთან;
- საქართველო, მათ შორის, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ვერ იარსებებს აფხაზების და ოსების გარეშე; მაგრამ ვერც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იარსებებს საქართველოს გარეშე;
- ჩვენ უნდა შევქმნათ ქართველების და აფხაზების, ქართველების და ოსების ერთად ცხოვრების ღირსეული პირობები. პირველი ნაბიჯი ამ გეგმის განსახორციელებლად უნდა იყოს ახალგორის და გალის რაიონების და კოდორის ხეობის დემილიტარიზაცია:
- დევნილების უსაფრთხო დაბრუნება;
- მხოლოდ საერთაშორისო პოლიციური ძალების კონტროლის დაწესება;
- საერთაშორისო ეგიდით ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება.

საქართველოს პრიორიტეტი უნდა გახდეს მიმზიდველობის პოლიტიკა. ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული წყობა ეკონომიკური განვითარების მოდელი და ტემპები, თანასწორი და სამართლიანი საზოგადოება, ჰარმონიული და თანაბრად განვითარებული რეგიონები უნდა ჰქმნიდნენ ევროპული სტილის მიმზიდველ ქართულ გარემოს.

რუსეთი, აშშ და ევროპა — ეს სამკუთხედი არის ბუნებრივი სამკუთხედი, რომელსაც საქართველო ვერ გაექცევა და არც უნდა გაექცეს. საქართველო არის და იქნება რუსეთის მეზობელი, ამერიკის პარტნიორი და ევროპის ნაწილი. საქართველოს დაბალანსებული პოლიტიკის საშუალებით შესაძლებელია, გახდეს ამ სამკუთხედის მთავარი მოთამაშე, არა ობიექტი სხვისი თამაშებისა, არამედ — ავტორი საკუთარი საგარეო პოლიტიკისა.

საქართველო ესწრაფვის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ერთმანეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო მიესალმება რუსეთის დაახლოებას ევროპასთან და გადატვირთვის პოლიტიკას აშშ-სთან. საქართველო ანგარიშს გაუწევს რუსეთის ინტერესებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში.

თარგამაძე გიორგი:
ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებელი პირობაა ქვეყნის დეოკუპაცია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია რუსეთთან მოლაპარაკების განახლება სარკოზი-მედვედევის 7-პუნქტიანი გეგმის შესრულების მოთხოვნით. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება არაღიარების პოლიტიკის შესანარჩუნებლად.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის კუთხით მნიშვნელოვანია ის საფრთხეები, რომელიც საქართველოს და რუსეთს ერთნაირად ემუქრება რელიგიური ექსტრემიზმისა და ფუნდამენტალიზმის სახით, ამიტომ კავკასიაში ამ მიმართულებით თანამშრომლობა პერსპექტიულია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის პროცესის დაწყების პარალელურად. რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფაქტორი უნდა განიხილოს არა საფრთხედ, არამედ შემაკავებელ ფაქტორად, ისევე როგორც ეს ავღანეთში ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში დეზინტეგრაციული პროცესები თავად რუსეთის ფედერაციაში, რაც თავისთავადი საფრთხე იქნება საქართველოსთვისაც. ერთიანი საქართველო — ძლიერი დასავლელი პარტნიორებით და ერთიანი რუსეთის ფედერაცია დაცული რელიგიური და ნაციონალისტური საფრთხეებისგან, არის ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესში. ეს კონცეფცია შესაძლებელია გახდეს საქართველო-რუსეთის შემდგომი მოლაპარაკებების, ქვეყნის დეოკუპაციის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი.

> **რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?**

ბაქრაძე დავითი:
სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს თავისი მოქალაქეების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ამისათვის „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ისწრაფვის ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ეფუძნება კანონის წინაშე თანასწორობას, შემწყნარებლობას, სამართლიანობას და პლურალიზმს. მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქართველი ერის წარმომადგენლებისთანაბარი ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აზრით, აუცილებელია, კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება, სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ინტეგრაციისა და ქვეყნის განვითარებაში ჩართვისათვის ხელშეწყობა. უნდა შეიქმნას პირობები ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გამყარებას, დიასპორების წარმომადგენლებისათვის მშობლიური ენის სწავლებისა და მათ მიერ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობას.

იმავდროულად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" უმთავრესია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პრინციპი. ამის გარეშე შეუძლებელია ადამიანის უფლებების პატივისცემა და პროგრესი. სახელმწიფო უნდა იცავდეს ყველა დენომინაციის კანონიერ უფლებებს და წინ უნდა აღუდგეს ქსენოფობიის ნებისმიერ გამოვლინებას.

სეკულარიზმის დაცვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ძირითადი პრიორიტეტია. იგი იღვწის, რათა ხელი შეეწყოს რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნას, დაცული იყოს კონსტიტუციური დებულებები, მათ შორის, საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება მიაკუთვნოს თავი ნებისმიერ რელიგიას, აღმსარებლობასა თუ კონფესიას.

ჯავახიძე სერგო:
ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის მხრივ, საქართველო ყველა ღონეს იხმარს საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, არაქართული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციასა და ჩართულობისათვის ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. იზრუნებს მათთვის ქართული ენის სწავლებისა და განათლების დონის ამაღლებისათვის, ასევე მათი იდენტობის, ენის, კულტურისა და აღმსარებლობის შენარჩუნებაზე.

თარგამაძე გიორგი:
უმცირესობათა მთავარი პრობლემა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის არის სახელმწიფო ენის არცოდნა. ამიტომაც, სახელმწიფო გაასამმაგებს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დაფინანსებას. ამასთან სახელმწიფო დააფინანსებს ტრადიციულად ჩამოყალიბებული უმცირესობებისთვის ნაციონალურ ენებზე ბეჭდვითი გამოცემების ხელმისაწვდომობას, კულტურული კერების, სასწავლო და რელიგიური დაწესებულებების მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტებიდან სუბსიდირებას.

გაზეთი „P.S." საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე სხვადასხვა საინტერესო კითხვაზე პრეზიდენტობის მსურველი სხვა კანდიდატების მოსაზრებებს ეტაპობრივად მოგაწვდით.

მოამზადა ნესტან ჩაგელიშვილმა

რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ

რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები 2013 წლის 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ვერ შეძლებენ.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი ეკა აზარაშვილი აცხადებს: ცესკო საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნას საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული ქვეყნების ჩამონათვალის საფუძველზე ახორციელებს და ამ ჩამონათვალში რუსეთის ფედერაცია საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის გამო არ აღმოჩნდა.

„რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები, სამწუხაროდ, ვერ შეძლებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნებს ვხსნით საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და მათ მიერ გადმოცემულ იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც საქართველოს აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობები, ამ ჩამონათვალში რუსეთი ვერ მოხვდა. შესაბამისად, ჩვენ ვერ გავხსნით რუსეთში საარჩევნო უბნებს," — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს" ეკა აზარაშვილმა.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქეების ზუსტ რაოდენობას, აზარაშვილის თქმით, ცესკო-ში ამის შესახებაც არ არსებობს მონაცემები, რადგან საარჩევნო ადმინისტრაცია საკონსულო აღრიცხვაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობაზე ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მოწოდებული მონაცემებით იგებს.

„ვერ გეტყვით რუსეთში მცხოვრები ამომრჩევლების ზუსტ რაოდენობას იმიტომ, რომ საკონსულო აღრიცხვაზე რეგისტრირებული ჩვენი თანამოქალაქეების რაოდენობაზე ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მოწოდებული მონაცემებით ვიგებთ. ასე რომ, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია დღეს რუსეთში საკონსულო აღრიცხვაზე ჩვენი რამდენი თანამოქალაქე იმყოფება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც ზუსტად იგივე მდგომარეობა გვქონდა. მაშინაც საგარეოს ჩვენთვის არ მოუწოდებია ჩამონათვალში რუსეთის ფედერაცია და, შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც რუსეთში არ გახსნილა საარჩევნო უბანი და იქ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს, სამწუხაროდ, ხმის მიცემის შესაძლებლობა არ ჰქონდათ," — ამბობს ეკა აზარაშვილი.

მარიამი — ანა ფრანკის მეგობარი

ორპირელი მოსწავლის წარმატება და კონკურსში გამარჯვებით მოპოვებული ამსტერდამის საგზური

მარიამ გოჩელაშვილი

„ვიდრე „ანა ფრანკის დღიურის“ წაკითხვას დავიწყებდი, ვფიქრობდი, განა რას დაწერდა 13 წლის გოგონა ისეთს, რომ წიგნად გამოუშვეს და მსოფლიომ აღიარა. ამიტომ თავდაპირველად კითხვას ვალდებულების მოხდის მიზნით შევუდექი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ნამდვილად ვცდებოდი, რადგან ესაა წიგნი, რომლის წაკითხვის შემდეგ ყველა ადამიანი დაფიქრდება და ანას მიბაძავს, რომ გახდეს უკეთესი, ვიდრე არის დღეს,“ — ასე ფიქრობს 16 წლის მარიამ გოჩელაშვილი, რომელიც საგანმანათლებლო კონკურსის — „ანა ფრანკი — აქტუალური ისტორია“ გამარჯვებული გახდა. კონკურსი განხორციელდა საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის „Don’t Worry, Be Healthy!“-ის ფარგლებში, საქართველოში ჰოლანდიის საელჩოს, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „ანა ფრანკის სახლის“ ერთობლივი თანამშრომლობით, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

მარიამი ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირში ცხოვრობს, ორპირის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. უნდა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდეს. ჯერ უცნობია, მის სურვილს რა მომავალი აქვს, თუმცა, ის კი ნამდვილად იცის, რომ რამდენიმე დღეში კონკურსის კიდევ ორ გამარჯვებულთან ერთად ხუთი დღით ამსტერდამში გაემგზავრება და ანა ფრანკის სახლ-მუზეუმს დაათვალიერებს.

ბევრ კონკურსში მიუღია მონაწილეობა, თუმცა, ასეთი დიდი წარმატება არასოდეს სწვევია. როგორც თავად ამბობს, კონკურსის მასშტაბიდან გამომდინარე (რამდენიმე ათასი საკონკურსო ნამუშევარი შეგროვდა მთელი საქართველოდან), გამარჯვებას არ ელოდა, მაგრამ მისმა თემამ ჟიურთან ერთად საქართველოს პირველი ლედი იმდენად მოხიბლა, რომ მარიამი ერთადერთი გამარჯვებულია, რომელსაც პირადად სანდრა რულოვსმა დაურეკა და გამარჯვება მიულოცა.

„არ ველოდი გამარჯვებას, მით უმეტეს, თუ თავად ქალბატონი სანდრა დამირეკავდა, გამარჯვებაზე მეტად სწორედ იმის დაჯერება გამიჭირდა, რომ პირველი ლედი მილოცავდა წარმატებას. მიხარია, რომ შრომა დამიფასდა, ეს ჩემთვის ნამდვილად კარგი სტარტი და სტიმულია უკეთესი სწავლისთვის. ვგრძნობ, რომ ანას სახლ-მუზეუმის ნახვისას ბევრად უკეთ შევიგრძნობ 13 წლის გოგონას განცდებს, თუმცა ანა ფრანკი უკვე ჩემი მეგობარი და კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვიცხოვრო უკეთესად, ისე, რომ სხვებს დავეხმარო...“

ნესტან ჩაგელიშვილი

მარიამმა მისი თემის გამოქვეყნების უფლება ექსკლუზიურად გაზეთ „P.S.“-ს მისცა. აი ისიც:

„ანა ფრანკის დღიური“ და მისი როლი 21-ე საუკუნეში

სავარძელში მოვკალათდი. მუხლებზე წიგნი მიდევს — „ანა ფრანკის დღიური“. ვფიქრობ, ღირს თუ არა წაკითხვა, განა რას დაწერდა 13 წლის გოგონა ისეთს, რომ მისი წიგნად გამოშვება გადაწყვიტეს?

წიგნი გვერდზე გადავდე, ლეპტოპი ავიღე და ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება დავიწყე. საძიებო სისტემაში ჩავწერე „ანა ფრანკი“ და წამებში მივიღე ინფორმაცია.

„გერმანია-ჰოლანდიის სისხლიანი ომის ქარტეხილში, მამის მიერ ნაჩუქარი რვეული 13 წლის გოგონამ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უსაშინლესი დროის მამხილებელ დოკუმენტად აქცია“...

ლამაზად გაფორმებულ წიგნს გავხედე. მომეჩვენა, იქიდან ჩემთვის, ჯერჯერობით, უცნობი 13 წლის ანა ფრანკი მიღიმოდა.

კითხვა დავიწყე. ჩემებს ჰგონიათ, მხოლოდ ვკითხულობ, მე კი — ანასთან ერთად ორი უმძიმესი წელი „გავატარე“.

რა ღრმა და ლამაზი სული ჰქონია.

სულმოუთქმელად ვკითხულობ ომის შესახებ დაწერილ თითოეულ სიტყვას. ვხვდები, ყველა ომი განსხვავებულია!.. მაგრამ ყველა ომი საშინელია!...

1942 წლის 8 ივლისი — ანას ტკივიალიანი დღიურის პირველი ფურცელი. პირველად იგრძნო ომის ძალა.

8 ივლისი... 8 აგვისტო, 2008...

მაშინ გაცილებით პატარა ვიყავი... პირველად ამოვიკითხე დედის, მამის, დეიდას სახეზე — ომი. ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილმა მეზობლის ნიკამ რომ ჩაიარა ჩვენს ქუჩაზე, ცრემლმორეული, შეშფოთებული თვალები გააყოლეს ჩემებმა. ეს იყო ჩვენი ომი...

ფურცელს ფურცელი ენაცვლება, ჩემში კი სხვადასხვა გრძნობა ებრძვის ერთმანეთს: გაოცება, იმედი, შიში ერთმანეთში აირია. ალბათ იმიტომ, რომ მე ისეთი საშინელება არ გამომივლია, როგორიც ანამ. მეშინია, ანა სულიერად არ დაეცეს.

კითხვას ინტერესით ვაგრძელებ. ნუთუ ანას შეეშინდება?

შემრცხვა, როგორ დავეჭვდი, როგორ ვიფიქრე, რომ ფარხმალს დაყრიდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა? შემრცხვა ერთი პატარა ებრაელი გოგოს წინაშე, მისი გამბედაობის წინაშე.

ვხვდები, მან ბევრი შეძლო — მე ახლა მის დღიურებს ვკითხულობ!

ვგრძნობ ჩემს უმწეობას: მე ხომ უკვე აღარაფრის შეცვლა შემიძლია. ალბათ, ანა მეტყოდა: „ხან ზეციური აღმფრენა მოგიწევს, ხან ღრმა მწუხარება: მაგრამ ნუ გეშინია, სანამ შეგიძლია უშიშრად ახედო ცას, სანამ გული წმინდა გაქვს, ბედნიერება მუდამ შენთანაა.“

მივყვები ფურცლებს, დავიბოღმე! ჩემში სიძულვილი იკიდებს ფეხს, მძულს ყველა, ვინც ასე გაწირა ანა და არამარტო ის. ვფიქრობ, შევძლებ თუ არა იმათ დასჯას, ვინც უდანაშაულო ხალხის სიცოცხლით ირთობდა თავს. ხოცავდა, ჟლეტდა და თავს ირწმუნებდა, რომ ამით სამართლიანობას ემსახურებოდა. შევძლებდი სამართლიანობისთვის მათ დასჯას?

ამ წინააღმდეგობათა ჭიდილში დავიკარგე. და როცა შურისძიების გრძნობით იმ ბოროტ არსებებს გავუტოლდი, გამოსავალი ანამ მაპოვინა: „ასწიე თავი. კვლავაც დადგება უკეთესი დრო“...

წიგნი დროებით გვერდზე გადავდე.

რას მეუბნება ანა?

მივხვდი, უფლება არ მქონდა, ვინმე შემეძულებინა, მიუხედავად ჩემში განვითარებული რადიკალურად განსხვავებული ემოციისა. სწორედ ეს ვისწავლე ანა ფრანკისგან — სამართლიანობა, ტოლერანტობა, განსჯის უნარი. ანამ მასწავლა სიცოცხლის სიყვარული, სწრაფვა უკეთესობისაკენ. ყველაზე მთავარი — მასწავლა, რომ ვყოფილიყავი სხვისთვის უკეთესი მაგალითი. არ ვიცი, შევძლებ ამას? ვარ კი ძლიერი? შევძლებ, სიკვდილს თვალებში ჩავხედო და მაინც თამამად ვთქვა, ანასავით: „ქვეყ ანა უჩემოდაც იარსებებს, ხოლო ისტორიის გაჩერება არავის შეუძლია“. და სიკვდილის მოლოდინში მაინც ვიოცნებო გადარჩენაზე, რათა მძიმე განსაცდელის შემდეგ დავეხმარო სხვებს.

მინდა, მოვნახო საშუალება, რომელიც დამეხმარება, გავხდე უკეთესი, ვიდრე ვარ, გავხდე ისეთივე, როგორიც ანა ფრანკია. ანამ მიმანიშნა, როგორ უნდა მოვიქცე.

გიორგიმაც... ჩემი ბიძაშვილია, ავღანეთში მსახურობდა. ჩამოსული ყვებოდა, როგორ მიუახლოვდა ფეხშიშველი ავღანელი, თავის ენაზე რაღაც სთხოვა. გიორგი მიხვდა, რა უნდოდა. წყლით სავსე მათარა მიაწოდა. ასე გახდნენ მეგობრები. არც ენა ესმოდათ ერთმანეთის, არც ერთ ღმერთზე ლოცულობდნენ, მაგრამ ავღანელი ყოველდღე მიდიოდა ჩემს ბიძაშვილთან „სასაუბროდ“...

ჩვენ, ადამიანები, სხვადასხვა ვართ, მაგრამ ერთნი! ნუთუ გვაქვს რამე გასაყოფი?

ღირდა ამ დღიურის წაკითხვა.

წიგნი გვერდზე გადავდე, სავარძელში მოვიკუნტე და... თითქოს კინოკადრმა ჩაიარა ჩემ თვალწინ: ანას ტყვია გულთან ახლოს მოხვდა, თითქოს ფრთხილად დაეცა. გახუნებული, ნაცრისფერი „ჟაკეტის“ ჯიბიდან რვეული გადმოვარდა. წარმოვიდგინე, როგორ აიღო ხელში მამამისმა, ოტო ფრანკმა წვიმაგამოვლილი ანას დღიური და უბეში ჩაიდო...

წიგნს გადავხედე. რამდენ რამეს იტევს — სიკეთეს და ბოროტებას, ომს და მშვიდობას, სიძულვილს და სიყვარულს, შურისძიებას და მიტევებას, ტოლერანტობას...

ანამ არჩევანის უფლება მომცა...

ანა ფრანკი

„ჩვენ ვაღიარებთ განსხვავებულს, აღიარეთ თქვენც“

ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბენეფიციარების საჩუქარი ცენტრის თანამშრომლებს

ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 36 წელია, რაც არსებობს. მასშტაბურობის და რეფორმების თვალსაზრისით, იგი საქართველოში ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც, დაახლოებით, 600-ზე მეტ პაციენტზეა გათვლილი და სადაც 500-მდე თანამშრომელი მუშაობს.

უკვე რვა წელია, ცენტრში ფსიქიატრიული სამედიცინო მოდელის მკურნალობას ჩაეყარა საფუძველი, რაც გულისხმობს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდებით და ხელოვნებითი თერაპიების მიმდინარეობებით პაციენტთა მკურნალობას. აღნიშნული მკურნალობის შედეგებს, როგორც საკუთარი შრომის პროდუქციას, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები იმ მიზეზით აჩვენებენ საზოგადოებას, რომ მათ შორის არსებული განსხვავება დაიმსხვრეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ცენტრის ბენეფიციართა კონცერტი, რომელიც მათ ფსიქიატრთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცენტრის მედპერსონალს მიუძღვნეს.

სიმღერა, ცეკვა, პოეზია — ამ რეპერტუარით გაჯერებული, დაახლოებით, ერთსაათიანი კონცერტის მნახველი რწმუნდება, რომ ადამიანებს შორის განსხვავებები არ არსებობს. ცენტრის დარბაზში ასევე წარმოდგენილი იყო პაციენტთა ხელნაკეთი ნივთები და ნახატები.

ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობა, თანამშრომლები და ბენეფიციარები ერთობლივი შემოქმედებით შეეცადნენ საზოგადოებამდე მიეტანათ დევიზი — „ჩვენ ვაღიარებთ განსხვავებულს, აღიარეთ თქვენც“, რაც წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია საზოგადოებაში არსებული სტიგმების და კომპლექსების დასაძლევად და ასევე საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, აღიარონ ამ ადამიანების უფლებელი და შესაძლებლობები.

„ეს ადამიანები, რომლებიც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გადიან მკურნალობას, არაფრით განსხვავდებიან იმ საზოგადოებისგან, სადაც მათ უწევთ ყოფნა. ამ კონცერტით კიდევ ერთხელ ყველას დავუმტკიცეთ, რომ ჩვენი ბენეფიციარები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან და მათაც ძალუძთ თავიანთი ნიჭიერებისა და ადამიანური გრძნობების წარმოჩენა. ადამიანები ვერ ხედავენ მათ შესაძლებლობებს, მათ სიყვარულს და, რაც მთავარია, მათ პიროვნებებს. ის ურთიერთობა, რაც საზოგადოებას ამ ადამიანების მიმართ აქვთ, ნამდვილად არ არის ჯანსაღი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ საზოგადოებაზე მოდის. ვინაიდან აქამდე არ ხდებოდა ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა რეინტეგრაცია. სახელმწიფო ყოველთვის გაურბოდა ისეთ პროგრამებს, რომელიც საზოგადოებას და დაავადებულ ადამიანებს ურთიერთთან რეინტეგრაციის საშუალებას მისცემდა,“ — აღნიშნა ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გოჩა ბაკურაძემ,** რომელმაც ცენტრის მედპერსონალს ფსიქიატრიის საერთაშორისო დღე მიულოცა და დამსახურებულ თანამშრომლებს, რომლებიც ცენტრის დაარსებიდან აქ მუშაობენ, ფულადი პრემიები გადასცა.

„ეს ადამიანები ხელოვნებითი თერაპიით მკურნალობისას იღებენ იმ შედეგს, რასაც დღეს ჩვენ აქ ვუყურებთ. მათ უხარიათ, ტაშს რომ უკრავენ და ყვავილებს რომ მიართმევენ. საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ეს მკურნალობა, რასაც ჩვენი ბენეფიციარები გადიან, ემსახურება იმის ჩვენებას, რომ ამ ადამიანებსაც აქვთ რაღაც ფუნქცია ცხოვრებაში და გააჩნიათ ღირებულებები,“ — განაცხადა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ცირა შვანგირაძემ**.

10 ოქტომბერს ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გამართულ ღონისძიებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელები და თანამშრომლები ესწრებოდნენ.

„და ასე გზაში დავრჩით ორნი,
შუბლით მიბჯენილ გათოშილ
მინას...“

ამ ფრაზით დაასრულა საკუთარი ლექსი ცენტრის ერთ-ერთმა ბენეფიციარმა და იქ მყოფ საზოგადოებას ხიდ-ჩატეხილობის ის პრობლემა დაანახა, რაც საზოგადობასა და ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანთა შორის არსებობს და რომლის დაძლევაც შესაძლებელია.

ნესტან ჩაგელიშვილი

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

პაციენტთა შემოქმედება

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

პაციენტთა ნამუშევრების გამოფენა ფსიქიატრიულ ცენტრში

ყველაზე დასამახსოვრებელი რთველი საქართველოში

„რთველი 2013“ დასასრულისკენ მიდის. ამ ეტაპზე, კახეთის რეგიონში, 84 კომპანიის მიერ, ბოლო ათეული წლების მანძილზე, რეკორდული რაოდენობის ყურძენია მიღებული და გადამუშავებული — სულ 88 584 ტონა (შარშან გადამუშავდა 52 000 ტონა). მათ შორის: საფერავი — 25 725 ტონა, რქაწითელი — 59 369,4 ტონა, მწვანე კახური — 1 961,9 ტონა, სხვა ჯიშები — 1 527,7 ტონა.

ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში **ნოდარ ჩხარტიშვილი** წლევანდელ რთველს ყველაზე დასამახსოვრებელს უწოდებს და ამბობს, რომ პროცესების ორგანიზებულად წარმართვა მთავრობის ყურადღებამ განაპირობა: **„მართლაც დასამახსოვრებელი რთველი ჩატარდა, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, რაც იშვიათობას წარმოადგენს ამ ბოლო წლებში. მე თვითონ ვმოძრაობდი კახეთში და ჩემი თვალით ვხედავდი ყველაფერს. რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ხარისხის ყურძენი იყო. რა თქმა უნდა, ხალხის შრომამ და ამინდებმაც შედეგი გამოიღო. უნაკლო იყო ყურძენი და უნაკლო იყო მთლიანად რთველი. ქართულ რთველს რომ ეკადრება, სწორედ ისეთი განწყობა გახლდათ მთელ კახეთში. სახელმწიფოს მხრიდან სესხების გაცემამ საწარმოების მსყიდველობით უნარზე დადებითად იმოქმედა. რაც შეეხება სესხების დაფარვას, არ მგონია, ამაზე პრობლემა შეიქმნას. რადგან ღვინის კომპანიების შემოსავალი ამას უზრუნველყოფს.“**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, რთველის წინასწარი პროგნოზი სრულად გამართლდა. კერძო სექტორის იაფი კრედიტითა და ფასის სუბსიდირების შედეგად, საფერავზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო, რის გამოც ამ ჯიშის ყურძნის ათვისება მთლიანად კერძო სექტორის მიერ მოხდა. სახელმწიფოს მხოლოდ ჭარბი თეთრი ყურძნის ჩაბარება მოუხდა („გრუზვინპრომის“ მიერ მხოლოდ 190 ტონა დაზიანებული საფერავია ჩაბარებული, ხოლო დანარჩენი რაოდენობა თეთრ ყურძენზე მოდის).

განსაკუთრებული მოთხოვნა მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში („მუკუზანი“, „ახაშენი“, „ქინძმარაული“) მოწეულ საფერავის ჯიშის ყურძენზე იყო, რისგანაც მზადდება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები. აღნიშნულის გამო, 1 კილოგრამ საფერავზე უკანასკნელ დღეებში დაფიქსირდა ფასების მნიშვნელოვანი ზრდა — საფერავის მაქსიმალურმა ფასმა 2,10 ლარი შეადგინა. ამ ფასად შეძენილი და გადამუშავებული იქნა 76 ტონა ყურძენი.

რქაწითელის მაქსიმალურმა ფასმა 1,40 ლარს მიაღწია. ამ ფასად შეძენილი და გადამუშავებული იქნა 72 ტონა ყურძენი, უმეტესად წინანდლის მიკროზონაში. მწვანე კახურის მაქსიმალურმა ფასმა 1,45 ლარი შეადგინა. ამ ფასად შეძენილი და გადამუშავებული იქნა 98 ტონა ყურძენი, ძირითადად, მანავის მიკროზონაში.

ფასების მატებას რთველის მიმდინარეობის პროცესში ერთადერთ მნიშვნელოვან პრობლემას უწოდებს კომპანია „თბილღვინოს“ დამფუძნებელი **ზურაბ მარგველაშვილი: „პრინციპში, კახეთში რთველი უკვე დავასრულეთ. 8 ოქტომბერს რაჭაში დავიწყეთ ალექსანდროულის მიღება. სამწუხაროდ, კახეთში საფერავის და რაჭაში ალექსანდროულის ფასი საკმაოდ მაღალია. საფერავის ფასი დაიწყო 1 ლარით, შემდეგ გახდა ლარნახევარი, ლარი და 80 და, ბოლოს, 2 ლარზეც ავიდა. რაჭაში ღვინო ხვანჭკარასთვის ვიბარებთ 2 სახეობის ყურძენს — ესაა ალექსანდროული და მუჯირეთული“.**

ზურაბ მარგველაშვილმა იმ დადებით შედეგებზეც ისაუბრა, რაც წინა წლებისგან „რთველი 2013“-ს განასხვავებდა: **„პრაქტიკულად დადებითად შემიძლია შევაფასო ეს რთველი. კახეთში ჩვენ გადავამუშავეთ 4 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. ფასის პრობლემის გარდა, ყველაფერი კარგად წარიმართა. პირველ რიგში, მოხდა ისე, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მასში შემავალმა ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ჩვენთან დაიწყო აქტიური დიალოგი. ჩვენ წარვუდგინეთ ჩვენი არგუმენტაცია, რთველის პროცესის დროს რისი გამოსწორება იყო საჭირო. წინა წელს გვიწევდა ისეთი ყურძნის ჩაბარება, რომელიც არ იყო ტექნიკურ სიმწიფეში. ყურძენი ერთდროულად იკრიფებოდა კახეთის მთელ რეგიონში და ეს ქმნიდა პრობლემას. ჩვენ შეგვეძლო ხარისხიანი ღვინოს მიღება, მაგრამ ეს არ გამოდიოდა. წელს მოხდა ისე, რომ ჩვენი დასაბუთება სამინისტრომ და სააგენტომ გაითვალისწინა და რთველი დაიწყო არა მთელ კახეთში, არამედ ზონების მიხედვით. ადრე გვქონდა შეზღუდვა, რომ არ შეიძლებოდა მსხვილი მევენახეებისგან ყურძნის შეძენა და ეს პრობლემაც მოგვარდა. ასევე სახელმწიფომ კერძო კომპანიებს კონკურენცია აღარ გაგვიწია.**

ზოგადად, ასეთი სახის თანამშრომლობა კარგია საწარმოებისთვის და ქვეყნისთვის. არსებობს საკითხები, რომლებიც მომავალში, ჩემი აზრით, კიდევ უფრო დაიხვეწება. ძალიან კმაყოფილი ვარ საწარმოების გადასაიარაღებლად გამოყოფილი სესხებით. ზაფხულის დასაწყისში 1 მილიონამდე კრედიტი ავიღეთ და ჩვენი ქარხნები თანამედროვე ტექნიკით აღვჭურვეთ“.

რთველის დაგეგმილად და მშვიდად წარმართვაზე საუბრობს ღვინის კომპანია „ბაგრატიონის“ დამფუძნებელი **გიორგი რამიშვილი: „შევისყიდეთ ყურძენი, გავაკეთეთ სესხზე განაცხადი იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო შეთანხმებული პროექტის ფარგლებში. ახლა, რთველი რომ დამთავრდება, დავითვლით, ზუსტად რამდენი თანხა წავიდა სესხიდან ყურძნის შეძენაზე და მერე დაითვლება იმ პროცენტის შეღავათი, რომელიც უნდა დავფაროთ 15 თვის განმავლობაში. ყურძენი საკუთარი თანხით და, ნაწილობრივ, აღებული სესხით შევიძინეთ. ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც დავგეგმეთ. შეფერხებების გარეშე“.**

„რთველი 2013“-ით კმაყოფილია მოსახლეობაც. მათი თქმით, ასეთი კარგი რთველი კახეთში ჯერ არ ყოფილა. განსაკუთრებით, ბოლო წლებში.

დავით ზუკაკიშვილი, საგარეჯო: **„კარგი ხარისხის ყურძენი მქონდა და ჩავაბარე ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. აქაც გაიხსნა ქარხანა, საგარეჯოში, მაგრამ მორიგებული ვიყავი, ტრანსპორტიც გამომიყვეს და წავიღე ყვარელში. საფერავი 4 ტონაზე მეტი მომივიდა, რქაწითელი — 5 ტონამდე. ფასებს კითხვაც არ უნდა — შედარებაც არ შეიძლება წინა წლებთან! 65 თეთრად ვაბარებდით და ამასაც გვამადლიდნენ. ახლა 1 ლარსა და 60 თეთრად ჩავაბარე საფერავი. მაგ განსხვავებას როგორ ვერ ვხედავ?! ცოტა რიგში დგომა კი მომიხდა, ქარხანა მოუმზადებელი იყო, მაგრამ რიგს რა უჭირს, ყურძენი არ დამრჩა ჩასაბარებელი. ალაგ-ალაგ დარჩენილია, მოდიან და ვედროებით კრეფენ გასაყიდად, მაგრამ, ძირითადად, რთველი მორჩენილია საგარეჯოში“.**

მერაბ კოჩიაშვილი, გურჯაანი: **„ეგეთი ფასი, ეგეთი თავისუფლება ჯერ არ ყოფილა. ძალიან კმაყოფილი ვარ. ჭანდარში ჩავაბარე ყურძენი, ზემო გურჯაანთან არის ახლოს. ამხანაგის მანქანით წავიღე, თუმცა, თვითონაც შემომთავაზეს. 1 ლარი მომცეს რქაწითელში. რიგები არ ყოფილა, მეორე დღით გადამიხადეს ფული. გურჯაანში აქა-იქ, ცოტ-ცოტა კიდევ არის ყურძენი, თუმცა, ჩასაბარებელი არ დარჩენილა“.**

რაც შეეხება „რთველი 2013“-ის სტატისტიკურ მონაცემებს, ის შემდეგნაირად გამოიყურება: წითელი ყურძნის (საფერავი) გადამუშავების პიკი 12 სექტემბერს დაფიქსირდა — ერთ დღე-ღამეში გადამუშავდა 4 500 ტონა, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში არ მომხდარა. ხოლო თეთრი ყურძნის (რქაწითელი, კახური მწვანე) გადამუშავების პიკი დაფიქსირდა 25 სექტემბერს — დღე-ღამის განმავლობაში 3 800 ტონა ყურძენი გადამუშავდა.

მთლიანად კახეთის რეგიონის მოსახლეობამ, 5 ოქტომბრის მდგომარეობით, ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლის სახით მიიღო, დაახლოებით, 100 მილიონ ლარზე მეტი (გასულ წელს ვაუჩერებით გაცემული იყო 15 000 000 ლარი და ინდუსტრიულად გადამუშავდა მხოლოდ 52 000 ტონა ყურძენი. ჯამში, დაახლოებით, 50 მლნ. ლარის ყურძენი იქნა შესყიდული).

რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ქალაქ გურჯაანში, 20 აგვისტოდან ფუნქციონირებდა 24-საათიანი საკოორდინაციო შტაბი და „ცხელი ხაზი“. 24 საათის განმავლობაში დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდა საჭირო ინფორმაცია.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას სპეციალურად „რთველი 2013“-სთვის დაემატა მე-5 კომპონენტი — შეღავათიანი სესხი ღვინის მწარმოებლებისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, საწარმოებზე უკვე დამატებით გაიცა ჯამურად 43 688 024 ლარის ოდენობის 38 შეღავათიანი სესხი.

ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ჩართული 84 კომპანიიდან 82 არის კერძო და 2 სახელმწიფო (შპს „გრუზვინპრომი“ და შპს „აკურა“). სახელმწიფო კომპანიების მიერ შესყიდული და გადამუშავებულია 15 285,2 ტონა ყურძენი, რაც საერთო რაოდენობის 17%-ს შეადგენს (ცნობისთვის, 2012 წელს სახელმწიფო კომპანიების მიერ გადამუშავებული ყურძნის წილი 65%-ს შეადგენდა).

გენადი ონიშჩენკოს „სვლა მხედრით" და ქართველი მეღვინეების უშრეტი ოპტიმიზმი

რუსეთის სანიტარული სამსახურის უფროსი გენადი ონიშჩენკო იწუნებს რამდენიმე ქართული კომპანიის პროდუქციის 28 ნიმუშს და მათ რუსულ ბაზარზე შესვლის ნებართვას არ აძლევს. როგორც გენადი ონიშჩენკო ეუბნება „ინტერფაქსს", ეს ყველაფერი აიძულებს ეჭვი შეიტანოს ქართული მხარის სურვილში დაამყაროს გრძელვადიანი, სტაბილური და ცივილიზებული ურთიერთობა, რომლის საფუძველი იქნება რუსეთის ბაზრისთვის სტაბილურად ხარისხიანი ღვინის მიწოდება. საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტი ჯერ არ შეფერხებულა, პოლიტიკის ექსპერტები კი კვლავ ბიზნესზე და პოლიტიკურ რისკებზე ლაპარაკობენ.

რუსეთის სანიტარული სამსახურის უფროსის გენადი ონიშჩენკოს სიტყვებით, საქართველოში ღვინის ყველა მწარმოებლისთვის არ იქცა გაკვეთილად მრავალი წლის განმავლობაში არსებული სიტუაცია, ამის თქმის საფუძველს კი გენადი ონიშჩენკოს, მისივე შეფასებით, იმ უარყოფითი დასკვნების სიმრავლე აძლევს, რომელიც რამდენიმე ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიას მისცეს. გენადი ონიშჩენკოს სიტყვებით, დაწუნებული ქართული პროდუქცია მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. „ამ ყველაფერმა კიდევ ერთხელ გვაიძულა ეჭვი შევიტანოთ ქართული მხარის სურვილში დაამყაროს ხანგრძლივი, სტაბილური და ცივილიზებული ურთიერთობა, რის საფუძველიც იქნება რუსეთის ბაზრისთვის სტაბილურად ხარისხიანი ღვინის მიწოდება," — განაცხადა **ონიშჩენკომ.** მანვე თქვა, ეს გვაფიქრებინებსო, რომ „შესაძლოა, გადაიხედოს ჩვენი დამოკიდებულება ქართული მხარის განზრახვისადმი დაამყაროს საქმიანი და პარტნიორული ურთიერთობა." მისივე შეფასებით, ქართული პროდუქციის დაწუნებული სახეობების რაოდენობის გაზრდის ფონზე, სიტუაცია სულ სხვაგვარია „აფხაზეთის სახელმწიფოსთან" მიმართებით. ონიშჩენკოს ინფორმაციით, აფხაზეთი რუსეთის ბაზარს აწვდის ალკოჰოლურ პროდუქციას, რომლის ხარისხისადმი სერიოზული პრეტენზიები არ არსებობს.

უნდა მიიღონ თუ არა ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა გენადი ონიშჩენკოს ეს სიტყვები იმის მანიშნებლად, რომ შესაძლოა, ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზარი ისევ დაიხუროს? ამ კითხვაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ლევან დავითაშვილი** ამბობს, რომ აქ საუბარი არ არის ღვინის ხარისხზე, აქ საუბარია იმაზე, რომ როცა სახელმწიფო რეგისტრაცია ტარდება, ღვინო იყოს ამ სტანდარტის შესაბამისი, რომელიც ბევრ შემთხვევაში სპეციფიკურია. ბევრ შემთხვევაში ქართული სტანდარტები ემთხვევა რუსულს. ლევან დავითაშვილის სიტყვებით, ქართული ღვინის ნებისმიერი პარტია რუსულ ბაზარზე შესვლამდე ორგზის მოწმდება: ერთხელ საქართველოში — სერტიფიკატის მისაღებად და მეორედ უკვე რუსეთში — სახელმწიფო რეგისტრაციის მისაღებად. და ქართული ღვინო ხარისხიანია.

„შეფერხება არ არის ქართული ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით რუსეთის მიმართულებით და მე იმედს გამოვთქვამ, რომ არც მომავალში იქნება შეფერხება. რაც შეეხება ამ 28 პროდუქტს, სახელმწიფო რეგისტრაცია საკმაოდ გრძელი პროცესია. 630-ზე მეტი პროდუქტი რეგისტრირებულია. თუ 630-ზე მეტი პროდუქტიდან 20-ზე ცოტა მეტზე იყო შენიშვნა, ამ შენიშვნების ნაწილი გამოსწორებული იქნა, ხელმეორედ იქნა წარდგენილი რეგისტრაციაზე და აქედან ბევრმა პროდუქტმა მიიღო ისევ სახელმწიფო რეგისტრაცია და ეს კომპანიები შეუფერხებლად ახორციელებენ რუსეთის მიმართულებით ექსპორტს და ერთადერთი, შემიძლია იმედი გამოვთქვა, რომ ეს პროცესი და ექსპორტი შეუფერხებლად გაგრძელდება".

ლევან დავითაშვილის სიტყვებით, ყველა კომპანია, რომელსაც რუსულ ბაზარზე შესვლა სურდა, რუსეთის ექსპერტებმა მოინახულეს. შემოწმების აუცილებლობა მომავალშიც შეიძლება გაჩნდეს, შეიძლება იყოს შენიშვნებიც და განმეორებითი შემოწმების აუცილებლობაც, ამბობს ლევან დავითაშვილი, რომლის სიტყვებითაც, „ამ დრომდე უკვე 9 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა რუსეთში და მის ექსპორტს, ამჟამინდელი შეფასებით, საფრთხე არ ემუქრება".

ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ მას არ სურს თავისი მანდატიდან გამოვიდეს და ონიშჩენკოს პოლიტიკურ სურვილებსა და ზრახვებზე ილაპარაკოს. ის მხოლოდ პროცედურებზე საუბრობს. რაც შეეხება პოლიტიკურ ზრახვებს და სურვილებს, ამაზე „რეფორმების ასოციაციის" თანადამფუძნებელი ელენე ხოშტარია ამბობს, რომ რუსეთის ხელთ ყოველთვის არის გარკვეული ბერკეტები, რომლითაც, როცა დასჭირდებათ, მანიპულირებენ. ერთ-ერთი ასეთი ბერკეტი რუსული ბაზარია და მისი შესაძლო დახურვის თემაა. ელენე ხოშტარიას სიტყვებით, არ არის გამორიცხული, რუსული ბაზრის დახურვაზე საუბრის გააქტიურება საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდებოდეს და ემსახურებოდეს კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესების გაძლიერებას.

„მათმა გარკვეულმა გავლენამ, მათ შორის, ამ სავაჭრო ბერკეტით, შეიძლება ხელი შეუწყოს ნინო ბურჯანაძის რეიტინგის ზრდას, რადგანაც დღეს გიორგი მარგველაშვილით და „ოცნებით" უკმაყოფილო ხმები მიდის ბურჯანაძესთან. ჩვენი პოლიტიკური სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე და პლუს ვაჭრობა და ეს რუსეთთან ურთიერთობის თემა აქვს ატაცებული ბურჯანაძეს, როგორც ადამიანს, რომელსაც ვითომ შეუძლია მოაგვაროს ეს ურთიერთობები, რაც, რა თქმა უნდა, არის ტყუილი, მაგრამ, „ოცნებით" უკმაყოფილებისა და იმავე „ოცნების" რუსეთთან ურთიერთობის უშედეგობის ფონზე, ეს ადამიანების არჩევანზე გარკვეულ გავლენას მოახდენს". ის, რომ პოლიტიკური და ბიზნესრისკები რუსეთის ბაზარზე არსებობდა, ცნობილია ყველასთვის, — ამბობს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში **ზურაბ აბაშიძე**. მისი სიტყვებით, ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან შეხვედრისას, დეკემბერში, ამ თემასაც შეეხება, მაგრამ, მისივე სიტყვებით, ილუზია არავის ჰქონია, რომ საქმე მარტივად იქნებოდა და ზურაბ აბაშიძისთვის არც ონიშჩენკოს განცხადებებია სენსაციური, თუმცა ამის უყურადღებოდ დატოვებას არ აპირებს და იმ პოლიტიკურ კონტექსტზეც საუბრობს, რომელმაც, შესაძლოა, ონიშჩენკოს მსგავსი განცხადების გაკეთება განაპირობა: „აი, ასეთი მოცემულობაა: რაღაცები ხდება უკრაინასთან მიმართებით; აი, მოლდავეთს აგერ ღვინო ჩაუკეტეს; გუშინ ლიტვური რძის პროდუქტებში აღმოაჩინეს მძიმე ლითონები. ეს, როგორც ჩანს, ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია. აი, რადგან ლიტვა და ვილნიუსი გამოჩნდა, კაცს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, გონივრული ეჭვი, რომ რაღაც ვილნიუსის სამიტთან ხომ არ არის დაკავშირებული. ვიმეორებ, რომ ახალს არაფერს ვამბობ. უბრალოდ, შესაძლოა, ესეც არის ერთ-ერთი ფაქტორი". საქართველოში იმედოვნებენ, რომ რუსული ბაზარი ქართული ღვინისთვის არ დაიხურება. თუმცა, როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი ამბობს, ქართველი მეღვინეებისთვის რუსული ემბარგოს გამოცდილება გაკვეთილი იყო და სწორედ ამ გაკვეთილის გამო ქართული ღვინო მსოფლიოს 45 ქვეყანაში წარმატებით იყიდება.

ნინო ხარაძე
რადიო „თავისუფლება"

პეტიცია სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ

საქართველოს მოქალაქეებმა სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტთან დაკავშირებით პეტიცია მოამზადეს. პეტიციაში მოქალაქეები მთავრობას ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოუწოდებს. „გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს მთავრობას და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, შეცვალონ გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლება სისტემატურად არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას და ახდენს საოკუპაციო ზოლის გადმოწევას, ვთვლით, რომ ყოვლად გაუმართლებელი იქნება საქართველოს მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საოკუპაციო ძალების ქმედებების შედეგად, დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომისა და სასმელ-სარწყავი წყლის გარეშე აღმოჩნდა. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებას და საკუთარი სოფლებიდან განდევნას. ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო შეურაცხყოფას ემსახურება რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 2008 წლის აგვისტოს ომის ე.წ. გმირი აანთებს ოლიმპიურ ჩირაღდანს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის პროტესტის გამოცხადება იქნება საქართველოს ხელისუფლების ადეკვატური ნაბიჯი და პასუხი რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებებისა და საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფაზე.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გამოხატოს პროტესტი რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ განხორციელებული ქმედებების წინააღმდეგ. სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმა იქნება მსოფლიო თანამეგობრობისადმი გზავნილი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება არასოდეს შეეგუება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას," — ნათქვამია პეტიციაში.

პეტიციას ხელს აწერენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოსა" და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წევრები არიან. ხელმოწერები გრძელდება და ყველა მოქალაქეს, რომელიც სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას ემხრობა, შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი შეხედულება.

თინა ხიდაშელი:
რატომ უნდა წავიდეთ სოჭში

ერთი შეხედვით მარტივი და უალტერნატივო გადაწყვეტილებაა — ბოიკოტი გამოვუცხადოთ სოჭის ოლიმპიურ თამაშებს.

წარმოიდგინეთ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ჩადის დიცში, ბევრი დროშა, დიდი ტრიბუნა, ბევრი ადამიანი და „აგვისტოს ომის გმირის" მიერ ოლიმპიური ჩირაღდნის აღმართვას პროტესტს უცხადებს. ხოლო პროტესტის ფორმა არც მეტი არც ნაკლები ოლიმპიადის ბოიკოტია. ბევრი შეძახილი, მქუხარე ტაში, ემოციები, ცრემლი, ათასი ეპითეტი გიორგის გმირობის და გამბედაობის შესახებ, სავარაუდოდ გაზრდილი რეიტინგი.

სკეპტიკოსები იტყვიან საერთოდ თავიდანვე რატომ არ გამოუცხადეთ ბოიკოტიო. მაგრამ მაინც კმაყოფილები დარჩებიან, საქციელს მოგიწონებენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

შემდეგ ერთი ორი დღე ყველა ტელეეკრანიდან სჯა-ბაასის, ექსპერტული მოსაზრებების, ანალიზის, კრიტიკის, ცინიზმის, პატრიოტიზმის, ვაშა-ვაშას ან ვიშ-ვიშის სერიალი იქნება და ორ-სამ დღეში ეს ამბავი ყველას ისევე მიავიწყდება როგორც მრავალი ყოფილა მანამდე.

მერე კიდევ ვინმე მფრინავი გამოჩნდება, ან მომღერალი, ანაც რუსი შოვინისტი, ისევ გადავირევით, პატრიოტიზმი მოგვეძალება, გულზე მჯიღს დავიცემთ, ატყდება აურზაური და ასე მუდმივად.

არადა, მცირე ხნით თუ გვერდზე გადავდებთ ემოციებს, ურა-პატრიოტიზმს, მცირე ხნით თუ შევეცდებით სხვა რამეზეც ვიფიქროთ გარდა იმ წუთიერი ემოციური კმაყოფილების, გაგვახსენდება რომ გუშინ ვიღაც მფრინავმა, დიახ ვიღაც მფრინავმა, ისე აგვაღელვა რომ ხელისუფლებას მრავალჯერ განცხადებული გადაწყვეტილების შეცვლა მოვთხოვეთ. ამ აღელვებაში კი დაგვავიწყდა, რომ ეს ოლიმპიადა ოკუპანტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტარდება, აფხაზეთიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, მას ვლადიმერ პუტინი გახსნის და მის გვერდით მსოფლიო ლიდერები იქნებიან.

თინა ხიდაშელი

ეს „არა სოჭის ოლიმპიადას" კი დღეს ძალიან არასერიოზულად და ჭეშმარიტად „გულის მოფხანად" გამოიყურება, რატომ გუშინ? რა იყო მთავარი არგუმენტები?

რუსეთი დაგვცინის! მათ ცინიზმს საზღვარი არა აქვს! ამ დაცინვას არ უნდა შევეგუოთ! და ა.შ.

მე თუ ვიტყვი, რომ ეს სრულიად უადგილოა, რა თქმა უნდა, ფსიქიატრიულის ცნობას მომთხოვენ, ან უკეთეს შემთხვევაში იმას იტყვიან, რაც გუშინ ჩემი მეგობარი პაატა ზაქარეიშვილის მიმართ არ დაიშურეს ეპითეტები, და კიდევ ერთხელ შეახსენეს ერთმანეთს ამბავი ჩვენი ცნობილი მოღალატეობის შესახებ; არადა უადგილოა.

რუსეთს ჩემი სამშობლოს მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული აქვს მეგობრებო, ოკუპირებული, ჩემს სამშობლოში რუსული დროშები ფრიალებს და რუსული ტანკები დგანან!!! გახსოვს?!

რა დროს ცინიზმი და დაცინვაა, მათი ტანკები დგანან ჩვენს მიწაზე. ტანკები! დიახ, იდეალური იქნებოდა საქართველოს ოკუპაციის გამო მოსკოვის ოლიმპიადის გამეორება რომ შეიძლებოდეს, იდეალური და სწორი არ გამოვა საქართველოს მარტო დარჩენა ამ ბოიკოტში, მისი პარტნიორების გარეშე, რუსეთის პირისპირ დაცინვა მაშინ კი საფუძვლიანი იქნება, სოჭის ბოიკოტს შეუძლია, მთავარი იარაღი წაგვართვას რუსეთთან ურთიერთობაში. პირველად ამ წლების მანძილზე საქართველო დარჩება მარტო საკუთარ პროტესტსა და ბოიკოტში, თუმცა კი გულში მჯიღდაცემული და კმაყოფილი. **არჩევანი ჩვენზეა**!

ხატია სიჭინავა:

„ჩემი დედამთილი დიასახლისობის პელეა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე“

ყოფილი ტელეწამყვანი ხატია სიჭინავა ორი გოგონას დედაა. რამდენიმე წლის წინ, მისი და სპორტსმენ რამაზ ნოზაძის სიყვარული მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ოჯახის შექმნის შემდეგაც, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ხატია სიჭინავა გაჭორვის თემა გახლდათ. დღეს ის ბედნიერი ქალი და ბედნიერი დედაა. ამბობს, რომ სიყვარული ყველაზე ძლიერი გრძნობაა და ყველაზე მეტი გაფრთხილებაც სჭირდება. ყოფილ ტელეწამყვანს, დღესდღეობით, ყველაზე მეტად ეკრანთან ყოფნა აკლია. მისთვის ტელევიზია მეორე სახლია და ფიქრობს, სამომავლოდ თუკი რომელიმე ტელევიზიაში მისი ადგილი აღმოჩნდება, ეკრანს აუცილებლად დაუბრუნდება.

ხატია სიჭინავა მეუღლესთან – რამაზ ნოზაძესთან ერთად

— ხატია, ორი გოგონა გყავთ. თავად ზრდით, თუ დედა, ან ძიძა გეხმარებათ?

— ჩემს გოგონებს ძიძა, დედამთილი, დედაჩემი და ჩემი და ერთად ზრდიან. ასე რომ, როგორ წამოიჩიტნენ, არც მიგრძვნია.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ დედამთილთან, როგორ მიმართავთ, ერთად თუ დადიხართ სადმე?

— დედამთილთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. „დედა“-თი მივმართავ და გადაცემებში, ძირითადად, ერთად დავდივართ ხოლმე.

— შვილების გაჩენის შემდეგ თავი დაანებეთ კარიერას. ერთი პერიოდი მთლიანად ოჯახზე იყავით გადართული, ეს როგორ და რატომ გადაწყვიტეთ?

— კარიერისთვის თავი არასდროს დამინებებია. თუმცა, არ ვიქნები ამბიციური და ვიტყვი, რომ ჩემი ადგილი, ჯერჯერობით, ტელევიზიაში არ აღმოჩნდა. ჩემი პაუზის მიზეზი მხოლოდ ეს არის. თუმცა, ოჯახი ისეთი თემაა, რომ ნაკლებად ვნერვიულობ, კარიერა აეწყობა თუ არა. ეს ჩემს იდილიას და ბედნიერებას ხელს ვერ შეუშლის.

— ანუ ტელევიზია ისევ გაინტერესებთ...

— რა თქმა უნდა, და ვაპირებ კიდეც დავუბრუნდე ეკრანებს, თუკი ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ტელევიზიაში ჩემი ადგილი აღმოჩნდება. ტელევიზია ჩემი მეორე სახლია და ეს არის ერთადერთი რამ, რაც ძალიან მაკლია.

— რამაზის მოთხოვნა (თხოვნა) რამდენად იყო თქვენი დიასახლისობა?

— მე და რამაზი ზუსტად ერთნაირი ხასიათის ვართ. შესაბამისად, უმოქმედობას ვერც საკუთარს ვიტანთ და ვერც – ერთმანეთისას. მისი მოთხოვნა და სურვილი ყოველთვის ემთხვევა ჩემსას. სურს, რომ არ მოვდუნდე და სახლში არ ჩავჯდე.

— როგორია თქვენი ერთი დღე?

— ყოველი დღე ჩემი ქმრით და ჩემი შვილებით იწყება. ანუ, ყოველი დილა ბედნიერი ღიმილით იწყება და ასეც სრულდება ხოლმე.

— არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ ქალმა მეუღლეს ყურადღება არ უნდა მოაკლოს როგორც არ უნდა გეზარებოდეთ, თუკი მეუღლეს სადმე წასვლა სურს, თქვენც მიჰყვებით. დღემდე ასეა?

— რა თქმა უნდა. ოჯახური უთანხმოების მიზეზი დღემდე მგონია წყვილის მოდუნება. ჩვენ დღემდე ერთად დავდივართ, აბსოლუტურად, ყველგან. როგორც აღნიშნეთ, საშინლად რომ მეზარებოდეს, ამას არ ვიმჩნევ და ხალისით მივყვები, მასთან ერთად ხალისიანად ვატარებ დროს, რადგან ჩემი საყვარელი ადამიანია.

— როგორი მამაა რამაზი?

— რამაზი უზომოდ ყურადღებიანი და თბილი მამაა. ჩვენმა შვილებმა დედაზე და მამაზე ადრე, სიტყვა „მიყვარხარ“ ისწავლეს, იმდენჯერ ვიმეორებდით დღეში.

— რამდენად კარგი დიასახლისი ხართ?

— ძალიან კარგად გამომდის დიასახლისობა, თუმცა, არ დაგიმალავთ, ცოტა ზარმაცი ვარ, თუმცა, როგორი მონდომებულიც არ უნდა ვიყო, ჩემი დედამთილი დიასახლისობის პელეა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე.

— კერძების გაკეთება თუ იცით, განსაკუთრებით რა გამოგდით კარგად?

— რა თქმა უნდა, ვიცი. ორი პატარა მყავს. მინდა თუ არ მინდა, კერძების კეთება მიწევს. ყველაზე კარგად რუსული ბორშჩი და ჩიხირთმა გამომდის.

— საოჯახო საქმეებიდან რა არის თქვენთვის ყველაზე არასასიამოვნო გასაკეთებელი?

— ყველა ქალს აქვს რაღაც, რაც არ უყვარს. მე უთოსთან ვერ ვმეგობრობ.

— რა შეცვალა რამდენიმეწლიანმა ოჯახურმა ცხოვრებამ?

— ოჯახურმა თანაცხოვრებამ მე და რამაზის სიყვარული უფრო მეტად გაამტკიცა და გააღრმავა. გვასწავლა, რომ სიყვარული პატარაა. ბავშვივით არის და ყოველდღიურად თუ არ გამოკვებე, მოკვდება. ჩვენი სიყვარული ჩვენზეა დამოკიდებული და თუ თანაცხოვრება არ ვისწავლეთ ადამიანებმა, გაგვიჭირდება იმ გრძნობის შენარჩუნება, რასაც სიყვარულს ვუწოდებთ. ჩვენ წარმატებულად ჩავაბარეთ ორწლიანი გამოცდა და ასევე გავაგრძელებთ შემდეგ წლებსაც.

— სოციალურ ქსელში „ფეისბუქში“ აქტიურად გამოირჩევით ხმამაღალი სტატუსებით. ისე ჩანს, თითქოს პოლიტიკით ხართ მეტ-ნაკლებად დაინტერესებული, ასეა?

— არავითარ შემთხვევაში. პოლიტიკა – ჩემგან შორს. უბრალოდ, იმდენად პოლიტიზებულ ქალაქში ვცხვრობთ, რომ ემოციებს გამოვხატავ ხოლმე ამა თუ იმ საკითხზე. სულ ეს არის.

— რამაზი არ აპირებს ამ სფეროში თავის მოსინჯვას?

— არ არის ჩემი ქმარი ის პიროვნება პოლიტიკის ბინძურ სამზარეულოში გამოდგეს. თუმცა, ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ჩემმა ქმარმა, მე ყოველთვის მის გვერდით ვიქნები.

— თქვენ და რამაზი ერთ-ერთი მოსიყვარულე წყვილი ხართ, ქართულ შოუ-ბიზნესში. რას ურჩევდი წყვილებს, ეს მუდმივად როგორ უნდა შეინარჩუნონ?

— მე და რამაზმაც ძალიან დიდი და ეკლიანი გზა განვვლეთ, სანამ სამშვიდობოს გავიდოდით. განსაცდელებმა ერთმანეთის სიყვარული და გაფრთხილება გვასწავლა. დღემდე, ყოველ დილას ერთმანეთის კოცნითა და სიტყვით „მიყვარხარ“ ვიწყებთ. ასევეა ძილის წინ. იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რომ ვიცით როდის უნდა შევეპასუხოთ და როდის უნდა გავჩერდეთ. ელემენტარულ შეკამათებაზე ჩვენი მაქსიმუმი ორი წუთია. უერთმანეთოდ, უბრალოდ, არ შეგვიძლია ცხოვრება. ამიტომ ვურჩევ ყველა წყვილს, მოძებნონ საერთო სალაპარაკო თემა, ბევრი ისაუბრეთ, ასევე მოძებნეთ საერთო გასართობები, ეცადეთ, ნაკლები დრო გაატაროთ უერთმანეთოდ. ხოლო, როცა ერთად არ ხართ, საათში ერთხელ ერთმანეთს სიყვარული აუხსენით და არასდროს მოდუნდეთ.

— სამომავლო გეგმები...

— ჩვენ ყოველთვის დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და იშვიათად ვგეგმავთ ხვალინდელს. ექსპრომტად ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ამიტომ ყოველი დღე ჩვენთვის სიურპრიზია.

ანა ნოდია

ტესტი

გესმით მამაკაცის ენა?

ადვილი შესაძლებელია, ბევრ ენას ფლობდეთ, მაგრამ მამაკაცს ვერაფერი გაუგოთ. ამიტომ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს დაკვირვებით უპასუხეთ. ამით საკუთარ თავს შეამოწმებთ — შეძლებთ თუ არა მშვიდად იცხოვროთ საყვარელ მამაკაცთან და მისი კაპრიზები აიტანოთ.

1. თქვენი პარტნიორი მამაკაცი თავისი დაბადების დღისთვის ეგზოტიკური კერძის მომზადებას გთხოვთ:

ა) მოძებნით კულინარიულ წიგნს და შედევრის შექმნას შეეცდებით — 3 ქულა;
ბ) მაინცდამაინც არ გესიამოვნებათ, აიღებთ ფეხსაცმლისთვის გადანახულ ფულს და კერძს რესტორანში შეუკვეთთ — 1 ქულა;
გ) იმ კერძს მოამზადებთ, რაც იცით — 2 ქულა;
დ) არაფერსაც არ მოამზადებთ — 0 ქულა.

2. თქვენი დაბადების დღე ახლოვდება. საყვარელი მამაკაცი გეუბნებათ, რომ გიყიდით იმას, რასაც მოისურვებთ:

ა) ძვირად ღირებულ სამკაულს ითხოვთ — 0 ქულა;
ბ) სუნამოზე შეუთანხმდებით — 2 ქულა;
გ) უბრალო საჩუქრითაც კმაყოფილი იქნებით — 3 ქულა;
დ) ხმას არ იღებთ — გიყიდოთ ის, რაც თავად უნდა — 1 ქულა.

3. ბოლოს და ბოლოს, სასურველი კაბა იყიდეთ, ის კი გეუბნებათ, რომ არ გიხდებათ:

ა) იბუტებით და სახლიდან მიდიხართ — 3 ქულა;
ბ) ეუბნებით, რომ უკეთესი თავად გიყიდოთ — 0 ქულა;
გ) ჰპირდებით, რომ წონაში დაიკლებთ — 1 ქულა;
დ) მის ნათქვამს არანაირ ყურადღებას არ აქცევთ — 2 ქულა.

4. მაღაზიაში ერთად შეხვედით. კოსტიუმი მოგეწონათ, მაგრამ ფული გაკლდებათ:

ა) მაღაზიას გულდაწყვეტილი ტოვებთ — 0 ქულა;
ბ) სთხოვთ, ფული დაგიმატოთ — 1 ქულა;
გ) გამყიდველს უთანხმდებით, რომ მეორე დღემდე შეგინახონ — 2 ქულა;
დ) არ შეიმჩნევთ, რომ მაინცდამაინც ის კოსტიუმი მოგეწონათ და არჩევანს იაფფასიან პროდუქტზე შეაჩერებთ — 3 ქულა.

5. მთელი დღის დაღლილს ერთი სული გაქვთ, როდის დაიძინებთ, მეუღლე კი სწორედ ახლაა ალერსის ხასიათზე:

ა) სთხოვთ, რომ თავი დაგანებოთ — 2 ქულა;
ბ) ხმამაღალი სიტყვებით გადიხართ მეორე ოთახში — 0 ქულა;
გ) ალერსისთვის განეწყობით — 1 ქულა;
დ) წყნარად სთხოვთ, რომ დილამდე მოიცადოს — 3 ქულა.

შედეგები:

14-15 ქულა: შეგიძლიათ, ჭკუა სხვებსაც დაარიგოთ. მშვენივრად ახერხებთ, საკუთარი სურვილები პარტნიორის მოთხოვნებს შეუთავსოთ. კომპრომისზე ადვილად მიდიხართ. გილოცავთ! პირად ცხოვრებაში პრობლემები არასოდეს გექნებათ, მეუღლე კი, უბრალოდ, გიჟდება თქვენზე.

6-13 ქულა: მაინცდამაინც ცუდი ხასიათი არ გაქვთ, მაგრამ ზოგჯერ უაზროდ იცით გაჯიუტება. მართალია, საკუთარი პრინციპების დაცვა ცუდი არ არის, მაგრამ ჯანმრთელობა გაცილებით მნიშვნელოვანია. ცოტაოდენი ქალური სიბრძნე გამოიჩინეთ და ყველაფერი კარგად იქნება.

2-5 ქულა: ზედმეტად სერიოზული და საშინლად პრეტენზიული ხართ. უფრო მომთმენი და კეთილი იყავით, თორემ ყველაზე თვინიერ მამაკაცსაც კი დააფრთხობთ.
2 ქულაზე ნაკლები: გირჩევთ, სახლში იჯდეთ და გათხოვებაზე საერთოდ არ იფიქროთ.

ხსოვნა

მარადიული სიცოცხლის კვალდაკვალ

(ზურაბ გორგოძის ხსოვნას)



ჩიტებივით გაფრინდა წლები, ბევრი რამ შეიცვალა და გადაფასდა, მაგრამ უცვლელი დარჩა ადამიანად ყოფნის საკითხი... ალბათ, ამას გულისხმობდა პოეტი, როცა სიკვდილს ხოტბას ასხამდა: „შენ დაილოცე, სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა!"

გულწრფელად ვამაყობთ თქვენით, ზურაბ მასწავლებელო! თქვენ ჩვენ გულებში დარჩით ადამიანად, „ღირსების ორდენის კავალერად". გმადლობთ, რომ წლების მანძილზე ემსახურებოდით საყვარელ სოფელს, მშობლიურ სკოლას. თქვენ ნამდვილად სოფლის კოლორიტი ბრძანდებოდით: კაცური კაცი, ღირსებით და ნიჭით შემკული, კარგი ოჯახის პატრონი, მოსწავლისა და კოლეგის მოყვარული, გულშემატკივარი, გულისხმიერი, განსწავლული, ავტორიტეტი...

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ სკოლაში დაიწყეთ მუშაობა. ბაღდათის რაიონის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლაში ათეული წლების მანძილზე იყავით სკოლის დირექტორი, მრავალი კარგი საქმის ორგანიზატორი და აღმსრულებელი. ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგი.

ბედი კოლეგას დაუკავშირეთ. ერთად ძერწავდით მოსწავლეთა სულების სიფაქიზეს და სკოლის სიძლიერეს, 57 წელი სკოლას შეალიეთ, ნაყოფიერად, თავდადებულად, განა ეს ცოტაა ნათელი კვალის დასატოვებლად?! ლია მასწავლებლის (თქვენი მეუღლის) ამ ქვეყნიდან წასვლა თქვენთვის ძლიერი დარტყმა იყო, მაგრამ სულიერად არ გატეხილხართ, იმედიანად აგრძელებდით ცხოვრებას. 82 წლის ასაკშიც კი წლებმა ვერ წაშალეს თქვენი ინტელიგენტური პეწი, დიდი სიყვარულით მოდიოდით და ნაყოფიერად იღვწოდით...

კრძალვით, სიყვარულით გაცილებთ სამუდამო სამყოფისაკენ, თქვენი ღვაწლი დავიწყებას არ მიეცემა, ყოველთვის ტკივილიან მოგონებად დარჩებით კოლეგებისა და თქვენს მიერ აღზრდილი თაობების გულებში.

ღმერთმა შეგინდოთ და დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი.

ზეგნის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

სამძიმარი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმის და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილის, მანანა ჩიხლაძის დედა **ლამარა სერაფიონის ასული ზერაგია-ჩიხლაძისა** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ქარტიის პრიზი" ჟურნალისტებისთვის

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია წელს პირველად აწესებს „ქარტიის პრიზს". კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას და ეთიკური ჟურნალისტიკის წახალისებას. კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟი;
- საუკეთესო რადიო რეპორტაჟი;
- საუკეთესო სტატია ან ნარკვევი ბეჭდურ ან ონლაინ მედიაში;
- საუკეთესო მედიაკრიტიკა;

მთავარი კრიტერიუმები: ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების პროფესიული ხარისხი და ეთიკური სტანდარტები.

გამარჯვებულებს ნომინირებული კონკურსანტებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მასალებიდან შეარჩევს დამოუკიდებელი ჟიური.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ნამუშევრების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ მედიასაშუალებას ან ჟურნალისტს.

საკონკურსო ნამუშევარი უნდა იყოს გამოქვეყნებული 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში.

მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგზავნონ საკონკურსო ნამუშევარი (ვიდეო, აუდიო, ბეჭდური), მისი მოკლე ანოტაცია და ინფორმაცია ავტორის შესახებ, მითითებულ მისამართზე ethicscharter@gmail.com ან მოიტანონ ქარტიის ოფისში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის ვადა სრულდება 2013 წლის 30 ნოემბერს.

კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემის ცერემონია შედგება 2013 წლის დეკემბერში, ქარტიის საერთო კრებაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქარტიის აღმასრულებელ დირექტორს, თამარ რუხაძეს: მობ: 599 40 90 31,

e-mail: ethicscharter@gmail.com

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მისამართი: ქ. თბილისი, კალისტრატე ცინცაძის ქ.6/7

განცხადებები

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში" მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი" გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში"!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

იყიდება

- იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.
მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება სამოსახლო **მიწის ნაკვეთი** ქუთაისში, ტყიბულის ქ. №169. 550 კვ.მ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 598 577 129

- იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.
ტელეფონი: 558 76 93 46

- 3-ოთახიანი, 4(5), 80 კვ.მ. ურემონტო კუთხის ბინა ქუთაისში, აღმაშენებლის ქ. №41-ში, ნინოშვილის ბაზართან, ამოსაშენებელი ლოჯიით და კიბის უჯრედით, სარდაფით. ფასთან და გადახდის პირობებთან დაკავშირებით შეთანხმება შესაძელებელია.
ფასი: 32000 $
ტელ.: 599 45 74 31; 599 13 66 01.
ალეკო გიორგაძე

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

- **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.
ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

- **2-ოთახიანი, ინდივიდუალური პრ. 2(6), 45 კვ.მ. ევრორემონტი ა/სადგომი, ბ/აირი, გათბობა,** კონდიციონერი, მ/წყალი, რკინის კარი, ტელეფონი, კომფორტული ბინა ავეჯი, თეთრეული, საჭირო ჭურჭელი, თეთრეული, კონდეციონერი (ზიმა-ლეტა). ფასი: 75 ლარი, ტელ.: 555 22 59 59
საერთო ფართი: 45 კვ.მ.
სართული: 2 ოთახების, რაოდენობა: 2, ფასი: 75 ლარი,
ტელეფონი: 555 22 59 59

- **ქირავდება!** 50 კვ.მ. ქუთაისში წერეთლის უნივერსიტეტთან საკუთარი სახლის 1-ლი სართული, ახალი გარემონტებული, იზოლირებული შესასვლელით სამზარეულოთი, ტუალეტში ახალი გამოცვლილი სან-ტექნიკით, მუდმივი გაზით და წყლით, ვერანდით. რკინიგზის საავადმყოფოსთან.
ტელ.: 598 59 80 42

- **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.
მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს" თავზე).
ფასი: 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84.
ლიანა

სხვადასხვა

- ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.
ტელეფონი: 598 11 30 70

- ვყიდი განსაკუთრებულ, უმაღლესი ხარისხის, სერტიფიცირებულ ღვინოს ზესტაფონში. მაქვს სერტიფიკატი. ციცქა — 10 ტონა. მთლიანი შესყიდვის შემთხვევაში, 1 ლიტრის ფასი — 3 ლარი.
ტელეფონი: 557 97 57 47

- იყიდება ძველი რუსული ფული ქუთაისში: 100 რუბლი 1910 წლის 10 რუბლი 1909 წლის 5 რუბლი 1909 წლის 3 რუბლი 1905 წლის 1 რუბლი 1898 წლის.
ტელეფონი: 599 70 01 52

- იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.
ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

- **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**
CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.
ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

- მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.
ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

ვაკანსია

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46,
599 107794

უფასო განცხადების ტალონი

(განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში)

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: რუსთაველის ქ. 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" მისამართზე: რუსთაველის ქ. №141 („პოპული").

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ცხოვრებისეული პრობლემების გამო მოგიწევთ ღრუბლებიდან ძირს ჩამოსვლა. არ ინერვიულოთ, ასე დიდი ხანი არ გაგრძელდება.

კურო: კარგი იქნება ბასეინზე წასვლა ან, თუნდაც, დილის გამამხნევებელი ვარჯიშების შესრულება. ეს დადებითად იმოქმედებს როგორც თქვენს ფიზიკურ, აგრეთვე სულიერ მდგომარეობაზე.

ტყუპები: თავს კარგად იგრძნობთ. სუფთა ჰაერზე დასვენება წაგადგებათ, საღამო მშვიდ გარემოში გაატარეთ.

კირჩხიბი: გაანალიზეთ თქვენი კვების რეჟიმი, თუ დაკლება გსურთ შეგიძლიათ დიეტა დაიწყოთ, ან უბრალოდ შეზღუდოთ ხორციანი საკვების მიღება, ბოსტნეული და ხილი სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის. ნურც ზღვის პროდუქტებს დაივიწყებთ.

ლომი: მეგობრებთან შეხვედრა გპირდებათ საინტერესო საღამოს. შესაძლებელია, თქვენ შემოგთავაზონ ხელსაყრელი საქმე. სიფრთხილე და თავშეკავებულობა გამოიჩინეთ ფინანსურ საქმეებში.

ქალწული: საკუთარ თავზე დამატებით საქმეებს ნუ აიღებთ. ეცადეთ დრო დასვენებას დაუთმოთ, დროა, ჯანმრთელობას მიხედოთ. მიირთვით რაც შეიძლება მეტი ხილი.

სასწორი: თქვენთვის უმთავრეს საკითხად შესაძლებელია, იქცეს დიეტა. ეცადეთ არ გადაიტვირთოთ ხორციანი და ცომიანი საკვებით, ყურადღება მიაქციეთ კვების რაციონს. მოიკრიბეთ ძალები, სულ მალე თქვენ ის დაგჭირდებათ.

მორიელი: არაა გამორიცხული, რომ ჯანმრთელობის გაუარესება შრომის გრაფიკის ბრალია. ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ, წესად დანერგეთ ყოველ დილით გამამხნევებელი ვარჯიშები, თორემ ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში წამლებზე მთელი თქვენი ხელფასი დაიხარჯება.

მშვილდოსანი: დიდია ალბათობა, რომ კარგი ხასიათის განწყობაზე იქნებით. თავისუფალი დრო მეგობრებთან ერთად გაატარეთ, იხალისეთ და გაერთეთ.

თხის რქა: გავლენას იქონიებთ პრობლემების გადაჭრაზე. დროა, დეტალურად გაანალიზოთ, დაგეგმოთ და განახორციელოთ მომდევნო ქმედებები.

მერწყული: მეტი ყურადღება დაუთმეთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. დათრგუნულობა არ შეუწყობს ხელს კარგ განწყობაზე ყოფნას. ოჯახური პრობლემები ბევრ დროს და ენერგიას წაგართმევთ.

თევზები: თავისუფალი დრო ბუნებაში გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან ერთად. ეს კვირა სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებათ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ბონასიე; 5. ათოსი; 6. ნიუ; 8. მოა; 9. მატეო; 11. ეიფელის.
შვეულად: 1. ანისი; 2. ფსი; 3. ბათლომე; 4. ელისეის; 7. მაზლი; 10. ეფა.

თურქეთის სახელმწიფო დაწესებულებებში თავსაბურავების ტარების აკრძალვა გაუქმდა

თურქეთმა სახელმწიფო დაწესებულებებში ქალებისათვის თავსაბურავის ტარების აკრძალვა გააუქმა. შესაბამისი კანონი სამთავრობო გამოცემაში გამოქვეყნების შემდეგ ძალაში შევიდა. ეს ადამიანის უფლებების სფეროში მთავრობის მიერ შემუშავებული დემოკრატიზაციის პაკეტის ნაწილია.

სახელმწიფო დაწესებულებებში თავსაფრის აკრძალვა თურქეთის რესპუბლიკაში, დაახლოებით, 90 წელი მოქმედებდა. აკრძალვები ჩაცმულობაზე თურქეთში ათათურქის სეკულარულ რეფორმებს უკავშირდება, რომელიც თურქეთში წინა საუკუნის 20-იან წლებში განხორციელდა.

„ამ შესწორებით მტკივნეული აკრძალვა მოიხსნა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა როგორც მშობლებს, ასევე ახალგაზრდებს. სიბნელის ერა დასრულებულია,"— განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა.**

ერდოღანს სეკულარისტი მოწინააღმდეგები ჰყავს, რომლებიც შიშობენ, რომ აკრძალვის მოხსნა თურქეთის ისლამისკენ მიბრუნებას მოწმობს და ერდოღანის პარტიას ათათურქის მემკვიდრეობის ნგრევაში ადანაშაულებენ. თუმცა, ერდოღანის კონსერვატიული მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ამგვარად თურქეთი რელიგიური გამოხატვის თავისუფლებას იცავს. რეფორმათა პაკეტი საარჩევნო სისტემაში ცვლილებებს, ასევე ქურთული უმცირესობისათვის დამატებითი უფლებების მინიჭებასაც ითვალისწინებს.

ჩინოვნიკი, შვილისთვის ძვირადღირებული ქორწილის გადახდის გამო, თანამდებობიდან გაათავისუფლეს

ჩინელი ჩინოვნიკი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზი ქორწილი გახდა, რომელიც ჩინოვნიკმა თავის შვილს გადაუხადა.

ქორწილი სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა და, დაახლოებით, 250 მლნ დოლარი დაჯდა.

წვეულებაზე სტუმრების წინაშე პოპულარული მომღერლები წარსდგნენ, სახლში კი ძვირადღირებული ლიმუზინებით მიიყვანეს.

სიძის ოჯახში განმარტავენ, რომ ქორწილის ხარჯების უმეტესი წილი თავის თავზე პატარძლის ოჯახმა აიღო.

ჩინეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ საბიუჯეტო სახსრები არ ყოფილა გამოყენებული, თუმცა ამის მიუხედავად, ჩინოვნიკი თანამდებობიდან მაინც გათავისუფლდა.

ჩინეთში გამდიდრებული ჩინოვნიკებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება დღითიდღე იზრდება.

ზეზვა და მზია კბილის საწმენდით სარგებლობდნენ

დმანისში მცხოვრები უძველესი ადამიანები კბილის საწმენდით სარგებლობდნენ. ამის შესახებ ამერიკული გამოცემა PNAS („მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე") წერს.

გამოცემა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის სტატიას აქვეყნებს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 20 წლის წინ საქართველოში, დმანისთან ახლოს პალეონთოლოგების მიერ ნაპოვნი ადრეული ადამიანის ნიმუშებზე კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ კბილებსა და ყბის ძვლებზე მათ პარალელური და ღრმა ნაკაწრები ჰქონდათ, რომელიც, სავარაუდოდ, კბილის საწმენდის არასწორად გამოყენებას უკავშირდება.

აღმოჩენის ავტორები ვარაუდობენ, რომ დმანისის უძველესი მკვიდრნი კბილის საწმენდს იყენებდნენ.

პაკისტანელ გოგონებს, რომლებსაც საქმროებმა მჟავა გადაასხეს, ოპერაციას გაუკეთებენ

პაკისტანელი კაცებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, ქალისგან უარის მიღების შემთხვევაში მათ სახეზე მჟავა მიასხან, რათა გოგონები სამუდამოდ დამახინჯდნენ.

პაკისტანში უამრავი ქალია, რომლებმაც არასასურველ მამაკაცზე გათხოვებაზე უარი თქვეს, „ძლიერი სქესი" კი შეურაცხყოფის გამო მათ სასტიკად გაუსწორდა. სწორედ ამ ადამიანების დახმარება გადაწყვიტა ბრიტანელმა პლასტიკურმა ქირურგმა, ასიმ შაჰმალაკმა. ის მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილ დანაზოგს, 50 000 გირვანქა სტერლინგს დახარჯავს და სრულიად უანგაროდ დაეხმარება პაკისტანელ ქალებს. ყველა გოგონა 18-დან 25 წლამდეა. ასიმი რამდენიმე კოლეგასთან ერთად ესტუმრება კარაჩის (ქალაქი პაკისტანში) და 7 ქალს ოპერაციას გაუკეთებს.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

მთავარი პროკურორი **არჩილ კბილაშვილი** პირველად **ნანა ფანცხავამ** ამოიცნო, შემდეგ სულიკო ფუტკარაძემ.

რას დაარქმევდით?

ლევან ყიფიანი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ირაკლი ღარიბაშვილი

„კოჰაბორტაციის" სამსხვერპლოზე...

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. გერმანული პისტოლეტი; 5. „ელგუჯას" ცოლი; 6. მდინარე ჩრდ. იტალიაში; 8. ფრანგი მხატვარი; 9. უნგრელი ჩოგბურთელი ქალი ... სავაი; 11. კარგ ამინდში ანუ დარში, ცუდ ამინდში ანუ...
ვერტიკალურად: 1. სახვრეტი იარაღი; 2. მუსიკოსი ვანესა ...; 3. პოლონური ცეკვა; 4. ქვეყანა სამხრეთ აზიაში; 7. სამშენებლო მასალა; 10. იმერული სახლი.